პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 106 (10500) | სამშაბათი, 8 მაისი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად წამშობლოში (I-ლი გვერდი). საინფორმაციო ცნობა (1-ლი გვერდი).
ვ. ქერქაძე. — აღმოვფხვრათ სერიოზული ნაკლოვანებანი საგაზაფხულო სამუშაოებში (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — ბ. გოგილიძე. — სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა ახალი ამოცანების დონეზე (მე-2 გვერდი).
პრესის მიმოხილვა. — ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობებზე (მე-2 გვერდი).
ე. ხარებავა. — რატომ ჩამორჩა ახალციხექვანახშირის მეორე შახტი? (მე-2 გვერდი).
ს. არღუნელი, მ. ვარდოსანიძე. — სტუდენტთა კომუნისტური აღზრდა ჩვენი ყოველდღიური საზრუნავია (მე-3 გვერდი).
მოწინავეთა გამოცდილება — მასებს. — ვ. გურგენიძე. — წარჩინებული მეპარხლე (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური კომისიის ქვეკომიტეტში საქართველოს სსრ-ის დელეგაციის მეთაურად ა. ა. გროზიოს განსაზღვრა საკადესის ლონდონელი კორესპონდენტისათვის ქვეკომიტეტის სესიის მუშაობის შედეგების შესახებ (მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სასოფლო პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანები

საბჭოთა ხალხი რწმენით მიდის წინ, კომუნიზმის კაშკაშა მწვერვალებისაკენ. ძლევამოსილი წინსვლის ეს დიდებული გზა გაცისკროვნებულია პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით. კომუნისტური მშენებლობის ყოველ ახალ გამარჯვებაში ვლინდება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის წარმმართველი და მაორგანიზებელი როლი. პარტიის ძალა და უძლეველობა მასებთან ურღვევ, მჭიდრო კავშირშია, პარტიის პოლიტიკისათვის ხალხის ერთსულოვან მხარდაჭერაშია. პარტიის პოლიტიკაში გამოხატულებას პოულობს მშრომელთა ძირეული ინტერესები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, მათ შორის სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას. მარცვლეულის ყოველწლიური საერთო მოსავალი აყვანილ იქნება 11 მილიარდ ფუთამდე, მკვეთრად გადიდდება ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

წარმატებით რომ გადავწყვიტოთ სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი დიდი ამოცანები, აუცილებელია შემდგომ ავამაღლოთ სასოფლო პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დონე, გავაძლიეროთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა უნარიანად შევუხამოთ სამეურნეო საქმიანობას, ყველა კომუნისტი ჩავაბათ აქტიურ პარტიულ ცხოვრებაში.

სასოფლო პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა გააძლიერონ მუშობა ადამიანებთან — კოლმეურნეებთან, მექანიზატორებთან, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან, განუმარტონ მათ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი, დარაზმონ ისინი მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საბრძოლველად, გამოავლინონ და ფართოდ გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების ახალი რეზერვები, ფართოდ გაავრცელონ უხვი მოსავლის ოსტატების მოწინავე გამოცდილება, მხარი დაუჭირონ ყოველივე ახალს, პროგრესულს, იბრძოლონ ჩამორჩენილობის წინააღმდეგ, ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლის შრომის მაღალნაყოფიერი მეთოდების დანერგვას, მიაღწიონ შრომისა და სახსრების რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯით მეტი პროდუქტების მიღებას ყოველ 100 ჰექტარ საკარგულზე.

საკოლმეურნეო წარმოებისადმი სწორი ხელმძღვანელობის, კოლმეურნეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის კარგად მოწყობის მაგალითს იძლევა გორის რაიონის სოფელ ზეღდულეთის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია. იგი ღრმად სწვდება კოლმეურნეობის ეკონომიკას, უნარიანად ახორციელებს კონტროლს გამგეობის საძეურნეო საქმიანობაზე, სისტემატურად განიხილავს საწარმოო ხასიათის საკითხებს, ენერგიულად იბრძვის ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. კოლმეურნეობაში 40-ზე მეტი კომუნისტი უშუალოდ საწარმოო ბრიგადებსა და ფერმებში მუშაობს. ისინი შრომის ავანგარდში არიან, პირადი მაგალითით აღაფრთოვანებენ კოლმეურნეებს და სათავეში უდგანან მათ საწარმოო აქტივობას. ის, რომ კოლმეურნეობაში ყოველწლიურად იზრდება მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, რომ იქ ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები, უწინარეს ყოვლისა პარტიული ორგანიზაციის უნარიანი მუშობით აიხსნება.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სასოფლო პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ ვერ მუშობს დამაკმაყოფილებლად, სათავეში არ უდგას მასების შრომითს აქტივობას, იშვიათად განიხილავს საკოლმეურნეო ცხოვრების აქტუალურ საკითხებს, ნაკლებ ყურადღებას აქცევს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას. ამ პარტიულ ორგანიზაციებს ღრმად არ ესმით ის განუხრელად მზარდი როლი, რომელიც მათ ეკისრებათ პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ყვარლის რაიონის სოფელ სანავარდოს საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია, რომელიც მოუქნელად მუშაობს, ვერ ახდენს მასებზე გავლენას, სუსტად რაზმავს კოლმეურნეებს მიმდინარე სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების განხორციელებისათვის საბრძოლველად. მართალია, პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა პარტიის XX ყრილობის შედეგები, კომუნისტებმა მრავალი საყურადღებო წინადადება წამოაყენეს საკოლმეურნეო წარმოების წინწასაწევად, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გარდასაქმნელად, მაგრამ ყოველივე ამას შედეგი არ მოჰყოლია, რადგან პარტიულმა ორგანიზაციამ დადგენილების მიღებით თავისი მოვალეობა ამოწურულად ჩათვალა. კოლმეურნეობაში დაბალია შრომის დისციპლინა, ბევრი კოლმეურნე არ ასრულებს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმს. საგაზაფხულო სამუშაოები არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ჯეჯილს ცუდად უვლიან. ბრიგადებს, რგოლებსა და ცალკეულ კოლმეურნეებს შორის გაშლილი არ არის სოციალისტური შეჯიბრება. სააგიტაციო-მასობრივი მუშობა ჩაშლილია. კოლმეურნეებს ღრმად არ განუმარტავენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში გაჩაღებულია საგაზაფხულო სამუშაოები. მთელ რიგ რაიონებში თესვის ტემპი დაბალია. გაზაფხულის გვიან დადგომის გამო თესვის ვადები მნიშვნელოვნად შემჭიდროდა. ამიტომ თესვის გეგმის შესრულებაში ძვირფასია არა მარტო თვითეული დღე, არამედ თვითეული საათიც კი. სოფლის პარტიული ორგანიზაციების, ყველა მშრომელის ამოცანაა მაქსიმალურად გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და თესვის გეგმა შეასრულონ შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად. ამავე დროს არის ფაქტები, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში თესლის სათეს კონდიციამდე აყვანას აჭიანურებენ, სრული დატვირთვით არ იყენებენ ტრაქტორებს, არღვევენ აგროტექნიკას, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კვადრატულ-ბუდობრივად თესვას.

საგაზაფხულო თესვის, მთლიანად მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებით ჩატარებაზე დამოკიდებულია მიმდინარე წელს უხვი მოსავლის მიღება, მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის დავალების გადაჭარბებით შესრულება. ამიტომ სოფლის პარტიული ორგანიზაციების პირველი რიგის ამოცანა ამჟამად ის არის, რომ გაშალონ ორგანიზატორული მუშაობა ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა სწრაფად აღმოფხვრისათვის. პარტიის სასოფლო რაიკომებმა უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი, აამაღლონ მათი ბრძოლისუნარიანობა, გაეცნონ თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურში ხვნა-თესვის ფრონტზე საქმის ვითარებას და ადგილებზე დაეხმარონ მათ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა დაჩქარებაში, აგიტატორიზის, პროპაგანდისტების, ლექტორების მეშვეობით განუმარტონ მშრომელებს, რომ მათს შრომაზე, მათს თავდადებაზე დამოკიდებულია უხვი მოსავლის მიღება მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს.

სოფლის პარტიული ორგანიზაციების, ყველა მშრომელთა უმნიშვნელოვანესი, მიმდინარე მომენტის ყველაზე მთავარი ამოცანა ის არის, რომ წარმატებით დაამთავრონ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები, უზრუნველყონ ნათესების კარგი მოვლა და 1956 წელს უხვი მოსავლის მიღება.

საინფორმაციო ცნობა

1956 წლის 4 მაისს გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა: ამხ. ს. რიგვავა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის — კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების გამგედ და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად; ამხ. თ. ბადურაშვილი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად — პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. მ. პ. გიორგაძემ.

ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★ ★

გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩის“ ორმოცდაათი წლისთავი

ბაქო, 5 მაისი. (საკადესი). დღეს ბაქოს საზოგადოებრიობამ აღნიშნა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბაქოს კომიტეტის ორგანოს — გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩის“ ორმოცდაათი წლისთავი. „ბაკინსკი რაბოჩი“ ბოლშევიკური პრესის ერთ-ერთი უძველესი ორგანოა. მის შექმნაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ვ. ნოგინმა, ვ. რადუს-ზენკოვიჩმა, პ. ჯაფარიძემ და პარტიის სხვა თვალსაჩინო მუშაკებმა. გაზეთი პირველი ნომრებიდანვე დაუცხრომლად იცავდა მუშათა კლასის პოლიტიკურ და ეკონომიურ უფლებებს, იბრძოდა მისი რიგების ერთიანობის განმტკიცებისათვის, სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა მჭიდროდ დარაზმვისათვის. დიდია მისი როლი აზერბაიჯანის მშრომელთა ბრძოლაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. შემდგომ წლებში „ბაკინსკი რაბოჩი“ აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაციის ერთგული თანაშემწეა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის ბრძოლაში.

ახლა იგი რაზმავს მშრომელებს მეექვსე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

ღირსშესანიშნავი თარიღის გამო გაზეთი, რედაქციისა და სტამბის მუშაკთა დიდი ჯგუფი დაჯილდოებული არიან რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელებით. გაზეთის სახელზე მიღებულია მრავალი მისალმება. გაიმართა პრესის დღისა და გაზეთის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

ჯაჯიკეთის სსრ 1956 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა

1955 წელს ბამბის უხვი მოსავლის მიღებისათვის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარმა კომიტეტმა ჯაჯიკეთის სსრ დაამტკიცა 1956 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილედ. ბამბის უხვი მოსავალი რესპუბლიკამ მოიყვანა პროგრესული მეთოდების — მცენარეთა კვადრატულ-ბუდობრივი განლაგებისა და შემჭიდროებულ მწკრივთაშორისების სიგრძივ-განივი დამუშავების ფართოდ გამოყენების მეოხებით.

1955 წელსაც რესპუბლიკა ბამბის უხვი მოსავლის მოყვანისათვის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო და დაჯილდოებულია პირველი ხარისხის დიპლომით. (საკადესი).

მეექვსე ხუთწლედის მშენებლობანი

გაზსადენი სტავროპოლი — მოსკოვი



ვორონეჟის ოლქი. გრემიაჩიეს რაიონში დაიწყო სტავროპოლიდან მოსკოვამდე გაზსადენის გაყვანასთან დაკავშირებული სამუშაოები. ოლქის ტერიტორიაზე ეს მშენებლობა დავალებული აქვს ტრესტ „მოსგაზპროვოდსტროის“ მეშვიდე სამშენებლო სამმართველოს.

ვორონეჟის ოლქის ფარგლებში ტრასა 160 კილომეტრზე გაიჭიმება. ამ მანძილზე საჭირო იქნება დაახლოებით 30 ათასი პირაპირის შედუღება. მილები, რომელთა დიამეტრი იქნება 720 მილიმეტრი, ჩაიწყობა საშუალოდ 1,60 მეტრ სიღრმეზე. ამოღებულ იქნება 30 ათას კუბურ მეტრზე მეტი გრუნტი.

ელექტროშემდუღებლები უკვე შეუდგნენ მუშაობას. დღითიდღე იზრდება შედუღების ტემპები. შედუღება ხდება მექანიზმების საშუალებით. დაწყებულია ტრანშეების გათხრა. მშენებელთა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა გაზსადენის გაყვანა დამთავროს დაწესებულ ვადაზე ერთი წლით ადრე.

სურათზე: შემდუღებლები ი. ფ. ბასარკო (მარცხნივ) და მ. ფ. ნიკიტინი მუშაობენ მილების შედუღებაზე. ცვლაში ისინი ადუღებენ 30-35 პირაპირს, ოდეა ნორმაა 17 პირაპირი.

ფოტო ა. ზენინისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

★

თბილისის საზოგადოებრიობამ აღნიშნა რადიოს დღე

7 მაისს საბჭოთა არმიის თბილისის ოფიცრის სოლქო სახლში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მოაწყეს ა. ს. პოპოვის სახელობის რადიოტექნიკისა და ელექტროკავშირგაბმულობის სამეცნიერო ტექნიკური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურმა გამგეობამ, რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ, კულტურის სამინისტროს რადიოინფორმაციის მთავარმა სამმართველომ და საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკურმა კომიტეტმა.

რადიოს დღისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა ამხ. გ. ა. ქრისტესაშვილმა. მომხსენებელმა ილაპარაკა რადიოფიკაციის განვითარებაზე ჩვენს ქვეყანასა და რესპუბლიკაში, რადიოელექტრონიკის ფართოდ გამოყენებაზე მრეწველობასა და ენერგეტიკაში, შეეხო რადიომაუწყებლობისა და რადიოკავშირგაბმულობის საშუალებათა შემდგომი ზრდისა და განვითარების ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებიდან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

კრების შემდეგ გაიმართა კონცერტი. (საკადესი).

ახალი სასოფლო-სამეურნეო ჟურნალები

გამოვიდა ახალი სამეცნიერო-საწარმოო ჟურნალების „კარტოფელის“, „სახარნაია სვეკლას“, „ლიონ ი კონოპლიას“ პირველი ნომრები. ეს ჟურნალები განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და განსაკუთრებით აგრონომების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, ბრიგადირების, მტსების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაკებისათვის.

ჟურნალებში ფართოდ გაშუქდება აგრონომიული მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევები. სპეციალური განყოფილებანი ეძღვნება უცხოეთის გამოცდილებას.

ჟურნალები „სახარნაია სვეკლა“ და „ლიონ ი კონოპლია“ გამოვლენ თვეში ერთხელ, ხოლო ჟურნალი „კარტოფელი“ — ორ თვეში ერთხელ. (საკადესი).

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

ბავშვთა საზაფხულო დასვენების ორგანიზაცია

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ბავშვთა საზაფხულო დასვენების ორგანიზაციის გეგმა. პიონერთა ბანაკებში 26 დღის ვადით გაეგზავნება 7-დან 15 წლამდე ასაკის 2 მილიონ 650 ათასი ბავშვი, გამჯანსაღებელ ბანაკებსა და ტურისტულ ბაზებში — საშუალო სკოლების 8-9 კლასების 100 ათასი მოსწავლე.

ეს 250 ათასი კაცით აღემატება შარშანდელს.

პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტებსა და საბჭოებს წინადადება მიეცათ საქმინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაონ პიონერთა ბანაკების ქსელის გაფართოების ღონისძიებანი. გადაწყდა საზაფხულო სეზონის დაწყებისათვის გაიხსნას სულ ცოტა 200 ახალი პიონერული ბანაკი, ცვლაში თითქმის 24 ათასი ადგილით.

პიონერული ბანაკები მუშაობას დაიწყებენ არაუგვიანეს 10 ივნისისა. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დროზე შეკეთდეს ყველა საცხოვრებელი და დამხმარე შენობა, სასპორტო ნაგებობანი და მოწყობილობა.

პიონერულ ბანაკებში აღმზრდელობითი მუშაობისათვის უნდა გაგზავნონ პირები, რომელთაც აქვთ პედაგოგიური განათლება ან ბავშვებთან მეცადინეობის გამოცდილება, აგრეთვე პირები, რომლებმაც გამოიჩინეს თავი ბანაკებში მუშაობით წარსულ წლებში.

პროფკავშირულ ორგანიზაციებს რეკომენდაცია ეძლევათ ყოველ ბანაკთან გაიშენონ ბაღი და საკენკრე, საშუალება მისცენ ბავშვებს მოუარონ მცენარეებს. წინადადება მიეცათ მოაწყონ სახელოსნოები ან სამუშაო ოთახები, შექმნან უმარტივესი მეტეოროლოგიური სადგურები და ცოცხალი ბუნების კუთხეები. ბავშვთა მრავალმხრივი შემოქმედების განვითარებისათვის უნდა შეიქმნას აღმზრდელთა ხელმძღვანელობით ნატურალისტთა, ტექნიკური, მხატვრული და სხვა წრეები.

პროფკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ ბავშვთა სპორტული სკოლების მოსწავლეებისთვისაც გახსნან გამაჯანსაღებელი ბანაკები.

პროფკავშირთა კომიტეტებს დაევალათ სახალხო განათლების ორგანოებთან და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად განაორციელონ ღონისძიებანი იმ ბავშვებთან კულტურული და აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად, რომელიც ქალაქებსა და დაბებში რჩებიან საზაფხულოდ. სკოლისგარეშე მუშაობა უნდა მოეწყოს ბავშვებთან ყველა პროფკავშირულ კლუბში, კულტურის სახლსა და სასახლეში, ბარკებსა და ბაღებში, დახმარება უნდა გაეწიოთ სკოლებს საქალაქო პიონერბანაკთა შექმნაში.

საზაფხულო არდადეგების დროს ბავშვები ღღისით უფასოდ ისარგებლებენ პროფკავშირთა სტადიონებით, წყალჯომარდობის სადგურებით, სასპორტო ბაზებით. მუშათა დაბებში მოეწყობა სათამაშო მოედნები. (საკადესი).

თბილისში ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დელეგაციის წევრთა ჯგუფი

7 მაისს ხარკოვიდან თბილისს ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დელეგაციის წევრთა ჯგუფი.

დელეგაციას მეთაურობს გერმან მატერნი. დელეგაციაში შედიან: ჰერალდ გეტინგი, კურტ აბენდროტი, ჰანს პაიერი, გიზელა ფუქსი, კურტ კრენცი, ზიგრიდა ტიმე, ოტო ზირაუ, დოქტორი მაქს ზურბირი. სახალხო პალატის დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი რუდოლფ როსმაიზლი და გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის“ კორესპონდენტი.

თბილისის აეროპორტი მორთულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით. სტუმრების შესახვედრად აქ მოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. დ. კუპრაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჭავა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. ს. როსტიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განხრახულობათა კომისიის თავმჯდომარე მ. მ. ლელაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ა. ვ. ჭირაქაძე, საქართველოს სსრ მინისტრები ა. ლ. გუნია, ბ. ა. ჩხეიძე, დ. გ. მამამთავრიშვილი, ა. ა. გიგოშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. კ. მაღრაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. ბ. აბაშიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები გ. ი. ქადაგიძე, ნ. ა. ჯავახიშვილი, უ. მ. ჯაფარიძე, დ. ს. მჭედლიძე, თ. ნ. მრევლიშვილი, ბ. ვ. ლორთქიფანიძე, საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე მ. ა. კვესელავა, პრესისა და რადიოს წარმომადგენლები.

თვითმფრინავი დაეშვა აეროდრომზე. შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ ჩამოსულთ. პიონერებმა ყვავილების თაიგულები მიართვეს მათ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. დ. კუპრაძემ სიტყვით მიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დეპუტატებს. მან თქვა, რომ საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, გულწრფელი მეგობრობის გრძნობით არიან გამსჭვალული გერმანელი ხალხისადმი, რომელიც ახალ ცხოვრებას აშენებს. მიკროფონთან მიდის გერმან მატერნი.

— ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო! — თქვა მან, — უწინარეს ყოვლისა ნება მიბოძეთ მადლობა გადაგიხადოთ ასეთი გულითადი შეხვედრისათვის. ჩვენ დიდად მოხარული ვართ, რომ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში ჩამოვედით.

გერმან მატერნი შემდეგ ამბობს, რომ სახალხო პალატის დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს გერმანელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, გაეცნოს საბჭოთა ხალხის მდიდარ გამოცდილებას საშეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

სიტყვის დასასრულს გერმან მატერნი დამსწრეთა ტაშის გრიალში ამბობს რუსულად: — მეგობრობა! (საქადესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დელეგაციის წევრთა ჯგუფი

გუშინ, 7 მაისს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დელეგაციის წევრთა ჯგუფი გერმან მატერნის მეთაურობით.

მიღებას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჭავა, საქართველოს სსრ მინისტრები ბ. ა. ჩხეიძე, დ. გ. მამამთავრიშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. კ. მაღრაძე, პრესის წარმომადგენლები.

მიესალმა რა სტუმრებს, მ. დ. ჩუბინიძემ თქვა, რომ საქართველოს მშრომელები მოხარულნი არიან ნახონ საქართველოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის წარმომადგენლები, რომელთა სსრ კავშირში ჩამოსვლა ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეს, მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

გერმან მატერნმა დელეგაციის სახელით მხურვალე მადლობა გადაიხადა იმ გულითადი მიღებისათვის, რომელიც დელეგაციას საქართველოში გაუწიეს, იმისათვის, რომ მას შესაძლებლობა მიეცა გაეცნოს ქართველი ხალხის ცხოვრებასა და მიღწევებს. (საქადესი).

საინფორმაციო ცნობა

1956 წლის 4 მაისს გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა: ამხ. ს. რიგვავა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის — კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების გამგის და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან; ამხ. გ. ბანძელაძე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის—პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

პლენუმმა აირჩია: ამხ. ე. შეავრდნაძე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად — კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების გამგედ და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად; ამხ. თ. ბადურაშვილი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად — პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. მ. პ. გიორგაძემ.

პარტიული ცხოვრება

საგაზაფხულო-პროპაგანდისტული მუშაობა ახალი ამოცანების დონეზე

პარტიის XX ყრილობის მასალების შესასწავლად ამბროლაურის რაიონში დამატებით შეიქმნა 8 წრე და 2 მუდმივმოქმედი სემინარი. პარტიის რაიონული კომიტეტი ამჟამად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პროპაგანდისტებთან მუშაობას. სისტემატიურად და მაღალ თეორიულ დონეზე ეწყობა სემინარები, რომლებზეც პროპაგანდისტები იმაღლებენ იდეური მომზადების დონეს და მეთოდურ დახელოვნებას. პოლიტიკური სწავლების ყველა ფორმაში ამჟამად იმისათვის ზრუნავენ, რომ მეცადინეობა მჭიდროდ დაუკავშირონ ცხოვრებას, კოლმეურნეობების პრაქტიკულ ამოცანებს. საუბრების კონკრეტული ფაქტებით შევსება მეცადინეობას საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებენ ყრილობის მასალების პროპაგანდის გასაძლიერებლად. უკანასკნელ ხანებში მეტი რაოდენობით იკითხება ლექციები და მოხსენებები, ეწყობა თეორიული კონფერენციები. პარტიის რაიკომის ლექტორთა ჯგუფი შეიკვნა ახალგაზრდა ძალებით და დღეისათვის 28 ლექტორს აერთიანებს. მომზადებულია და იკითხება ლექციები ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიც არის „თანამედროვე ეპოქაში ომების თავიდან აცილების შესაძლებლობა“, „სოციალიზმზე სხვადასხვა ქვეყნების გადასვლის ფორმები“, „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმა ახალი დიდი ნაბიჯია კომუნიზმის მშენებლობაში“ და სხვ.

საგრძნობლად გაძლიერდა ლექციური პროპაგანდა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოებისა და რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების ხაზით. კოლმეურნეობებსა და საწარმოდაწესებულებებში მარტო კულტურის განყოფილების ლექტორთა ძალებით წაკითხულია 50 ლექცია პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებზე.

გარდა ამისა, რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები სისტემატიურად გამოდიან პოლიტიკური მოხსენებებით კოლმეურნეობებსა და საწარმოებში.

რაიონის აგიტატორთა მძლავრი კოლექტივი, რომელიც 675 აგიტატორს აერთიანებს, მშრომელებს აცნობს და განუმარტავს მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიისა და მთავრობის ახალ დადგენილებებს.

პოლიტიკური აგიტაციის გაუმჯობესების საკითხს მიეძღვნა აგიტატორების, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების რაიონული თათბირი, რომელზეც მოხსენება გააკეთა რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. შ. კახიძემ. თათბირმა გამოავლინა სერიოზული ნაკლოვანებანი საგაგიტაციო-მასობრივ მუშაობაში და მათ სალიკვიდაციოდ დასახა სათანადო ღონისძიება. თუ წინათ საგაგიტაციო ჯგუფები დაკომპლექტებული იყო საკოლმეურნეო ბრიგადების მიხედვით, ახლა აგიტატორები გამოყოფილი არიან ყველა საწარმოო რგოლსა და მეცხოველეობის ფერმაში. გაუმჯობესდა აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა შემადგენლობა. 43 აგიტკოლექტივიდან 34-ს უშუალოდ პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი ხელმძღვანელობს. საგაგიტაციო-მასობრივ მუშაობაში ჩაბმულია სოფლის ინტელიგენცია. სოფლის მეურნეობის სპეციალისტები აქტიურად მონაწილეობენ საგაგიტაციო საქმიანობაში.

პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებამ ხელი შეუწყო კოლმეურნეობათა სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებას. მაგალითად, აგარა-უყუშის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში, სადაც ნაყოფიერად მუშაობს აგიტატორი ამხ. პ. ბიბილაშვილი, თვითეულ საფურაქე ძროხაზე პირველ აპრილამდე მიღებულია 293 კილოგრამი რძე, რაც 312,9 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

საგაგიტაციო მუშაობა მეცხოველეთა შორის კარგად არის დაყენებული სხვავის მეჭოიანის სახელობის კოლმეურნეობაში. ამითაც აიხსნება, რომ აქ წველადობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4,3-ჯერ გაიზარდა.

ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე სადმელის, სინათლისა და ბოსტანის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებთან არსებული აგიტკოლექტივები.

რაიონის კულტურის სახლს ნიჭიერი შემოქმედებითი კოლექტივი ჰყავს. მან წელს მაყურებელს 5 ახალი დადგმა უჩვენა, მოამზადა და კოლმეურნეობებში გაგზავნა აგიტმხატვრული ბრიგადა. კულტურის სახლის დრამატული კოლექტივი პირობას იძლევა, რომ წელს მომსახურებას გაუწევს ყველა კოლმეურნეობას და სამრეწველო საწარმოს.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საგაგიტაციო-მასობრივ მუშაობაში რაიონის პარტიულ ორგანიზაციას აქვს ნაკლოვანებანიც. განსაკუთრებით ეს ითქმის თვალსაჩინო აგიტაციის დაყენებაზე, რომელსაც ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. თუმცა რაიონმა შეასრულა კინოფილმების ჩვენების გეგმა, მაგრამ საყურადღებოა, რომ ზოგიერთ სოფელში კინოსურათებს იშვიათად და უხარისხოდ უჩვენებენ. ზოგიერთი კოლმეურნეობა და მეცხოველეობის ფერმა მოკლებულია რადიომიმსახურებას.

რაიონის პარტიული ორგანიზაციების მუშობა ამჟამად მიმართულია ამ ნაკლოვანებათა უმოკლეს ვადაში გამოსწორებისაკენ, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაძლიერებისაკენ. ამ საფუძველზე ჩვენ უზრუნველყოფთ მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებას, პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებას.

ბ. ბოგილიძე,

საქართველოს კპ ამბროლაურის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.



ლენინგრადი. დიდ წარმატებებს მიაღწია ლენინის ქარხნის კოლექტივმა. ასაწყობ სტენდზე ვადაზე ათი დღით ადრე გამოცდილ იქნა 100 ათასი კილოვატის სიმძლავრის მორიგი ორთქლის ტურბინი. **სურათზე:** ორთქლის ტურბინების საამქროში. 100 ათასი კილოვატის სიმძლავრის ორთქლის ტურბინის დაშლა გამოცდის შემდეგ.

ფოტო ა. მიხაილოვისა. (საკავშირო ფოტოქრონიკა).

რატომ ჩამორჩა ახალციხე-ქვანახშირის მეორე შახტი?

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კარგად ვერ იმუშავა ახალციხის შახტსამშენებელმა მეორე შახტის კოლექტივმა. ქვანახშირის ამოღების 3 თვის გეგმა განაღდებულია მხოლოდ 77,4 პროცენტით, ვერ შეასრულეს შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალება, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვანახშირის თვითღირებულება. მაგალითად, იანვარში ტონა ნახშირის თვითღირებულება 1 მანეთით და 9 კაპიკით გადიდდა, თებერვალში — 38 მანეთით და 43 კაპიკით, მარტში — 10 მანეთით და 91 კაპიკით.

ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია სამთო-მოსამზადებელი სამუშაოებისადმი უყურადღებობა. პირველ კვარტალში სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმა მხოლოდ 57,7 პროცენტით შესრულდა.

მოსამზადებელ სამუშაოთა უბანს შახტის ხელმძღვანელობა მუშობის ნორმალურ პირობებს არ უქმნის, არ ზრუნავს ამ უბანზე შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. უბანს გამყვანთა ორი ბრიგადა აკლია, რის შედეგად მესამე საექსპლატაციო უბნის საზიდ და სავენტილაციო საველე შტრეკებში ამჟამად მუშობა შეჩერებულია.

სამთო გამონამუშევართა გაყვანისას ყველაზე შრომატევად სამუშაოს ფუჭი ქანის აწმენდა წარმოადგენს, ხოლო ამ სამუშაოს მექანიზაციისათვის შახტში ნაკლებად ზრუნავენ.

მოსამზადებელი სამუშაოები ხშირად იფუშება მოძრაობის ჯუბნის (უფროსი ი. ყრუაშვილი) გაუმართავი მუშაობის მიზეზით. მაგალითად, 12 აპრილს 915 ჰორიზონტის სამხრეთ საველე შტრეკის გამყვანებს არაფერი არ გაუკეთებიათ, ვინაიდან მათ დროზე არ მიაწოდეს ვაგონები მონგრეული ფუჭი ქანის გამოსატანად. სამსახტე ტრანსპორტის ცუდი მუშაობა ხელს უშლის არა მარტო გამყვანებს, არამედ სხვა პროფესიის მუშებსაც. მესამე უბნის მნგრეველმა ს. ხეთაგურმა გულისტკივილით გადმოგვცა:

— მონგრეული ნახშირის დატვირთვა და გადაზიდვა რომ დროზე წარმოებდეს, შემეძლო ცვლაში ორჯერ მეტი მომენგრია, ვიდრე ახლა.

სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა სანგრეველებიდან და საექსპლატაციო უბნებიდან ფუჭი ქანისა და ქვანახშირის გადმოზიდვის მოსაწესრიგებლად საჭიროა დაჩქარდეს საჰაერო საბაგირო გზის მშენებლობა.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს მექანიკური საამქრო. მისი მიზეზით დაგვიანდა დაზიანებული მილების შეკეთება, რამაც გამოიწვია ჰაერის დიდი დანაკარგები და 11 აპრილს ძლივრ შეფერხდა პირველი და მეორე ცვლის მუშობა.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ბევრ მუშას სამუშაოზე სიარული უხდება 10-12 კილომეტრ მანძილიდან, რაც ზმირად იწვევს მათ გაცდენას მთელი საათობით.

შახტის კოლექტივმა მიმდინარე წლისათვის გადიდებული საწარმოო ვალდებულება იკისრა. მაგრამ თუ არსებული ნაკლოვანებები დროზე არ გამოსწორდა, შახტი ამ ვალდებულებას ვერ გაანაღდებს, ჩამორჩენას თავს ვერ დააღწევს.

ე. ხარებავა,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

კულტურის სახლის მშენებლობა

ბოლნისი. (საკ. კორ.). წელს დაბა ბოლნისში დაიწყო რაიონული კულტურის სახლის მშენებლობა. მშენებლობაზე დაიხარჯება მილონნახევარი მანეთი. სახლს ექნება მაყურებელთა 500-ადგილიანი დარბაზი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, თვითმოქმედი წრეებისათვის 16 სამეცადინო ოთახი.

მშენებლობის დამთავრება გათვალისწინებულია მომავალი წლის ბოლოსათვის.

პრესის მიმოხილვა

ერთგულები ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობებზე

საქართველოს ჰიდროენერგომშენებლები რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად თავდადებით იბრძვიან პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დროზე და წარმატებით დამთავრებისათვის. დიდი და საპატიო ამოცანები დგას იმ რაიონების გაზეთების წინაშე, რომელთა ტერიტორიაზეც შენდება ახალი ჰიდროელექტროსადგურები. რაიონული გაზეთები ფართოდ, ყოველმხრივ უნდა აშუქებდნენ ჰიდრომშენებლების შრომითს საქმეებს, მშენებლობათა პარტიული ორგანიზაციების ბრძოლას სამშენებლო სამუშაოთა დადგენილ ვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, უჩვენებდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებული მუშების, ბრიგადების მუშობის მოწინავე ხერხებსა და მეთოდებს, დროულად მიუთითებდნენ მშენებლებს ხაკლოვანებებზე, თავისი საქმიანი რჩევა-დარიგებით ხელს უწყობდნენ მათ გამომჟღავნებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში და სხვ.

ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ ქუთაისის რაიონული გაზეთის **„სიმართლის“** საქმიანობას, უნდა ითქვას, რომ მას გაწეული აქვს ერთგვარი მუშაობა. მაგალითად, იანვრის ბოლო რიცხვებში გაზეთმა მთელი გვერდი დაუთმო მასალებს საერთო სათაურით „გუმათჰესის მშენებლები ჰესის ამუშავების წინ“. გვერდი მოგვითხრობს ჰიდრომშენებელთა საქმიანობაზე, იმ წარმატებებზე, რომლებსაც ისინი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დროულად დამთავრებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში აღწევენ. საინტერესოდ არის გაკეთებული მარტის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული წერილი „ერთმანეთის მხარდამხარ, ერთი მისწრაფებით“. წერილი მოგვითხრობს მებეტონე ა. ვასილიადინას, ზეინკალ გ. იუგანოვის, ბრიგადირ უ. ოქროჭელიძის და მშენებლობის სხვა მოწინავე ადამიანების შრომითს წარმატებებზე. გუმათჰესის მშენებლობაზე ქართველებთან ერთად მეგობრულად შრომობენ ჩვენი სამშობლოს მოძმე ხალხების წარმომადგენლები.

„საიდან არ მოსულან აქ ადამიანები მდინარესთან საბრძოლველად, მის შესაბოჭად და ხალხის სამსახურში ჩასაყენებლად. მოსულან მშენებლები მახლობელი სოფლებიდან, მეზობელი რაიონებიდან, მოძმე რესპუბლიკებიდან და ქალაქებიდან—აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან და შორეული ურალიდან, უკრაინიდან და ლენინგრადიდან, ჩვენი სამშობლოს გულიდან — მოსკოვიდან...“

გაზეთი ცდილობს აჩვენოს მათი შრომითი თანამეგობრობა, ბრძოლა მშენებლობის წარმატებით დამთავრებისათვის.

მაგრამ გაზეთი „სიმართლე“ მაინც ღრმად ვერ სწვდება გუმათჰესის მშენებელთა საქმიანობას, სუსტად უჩვენებს მშენებლობაზე პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ავ-კარგს, მშენებელთა ყოფაცხოვრებას.

ცაგერის რაიონული გაზეთი **„კომუნიზმის სხივი“** ამას წინათ წერდა:

„ცაგერის რაიონში სამ წელზე მეტია შენდება ლაჯანურჰესი, ჩვენი რესპუბლიკის მეტად მნიშვნელოვანი და დიდი ელექტროსადგური. მშენებელთა კოლექტივმა და საჰიდროენერგომშენის ტრესტმა ყველა ღონისძიებას უნდა მიმართონ იმისათვის, რომ მშენებლობა შეუფერხებლივ, მტკიცე გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობდეს“.

გაზეთის ეს შენიშვნა ნათლად მეტყველებს, რომ მის მუშაკებს კარგად აქვთ შეგნებული მშენებლობის დიდი მნიშვნელობა, მაგრამ რატომღაც მხედველობიდან რჩებათ ამ მშენებლობის მრავალი აქტუალური საკითხი. გაზეთი თებერვალში იუწყებოდა, რომ რესპუბლიკის ჰიდროელექტროსადგურების მშენებელთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ლაჯანურჰესის კომკავშირელმა მშენებლებმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვეს, ხოლო ახალგაზრდული ბრიგადების ხელმძღვანელებს ქების სიგელები გადაეცათ. მაგრამ მშენებელი ახალგაზრდების საქმიანობა, მათი მუშაობის გამოცდილება არავითარ ასახვას არ პოულობს გაზეთში. ის ორიოდე ინფორმაციული ხასიათის მასალა და რამდენიმე მშრალი კორესპონდენცია, რომლებიც დღემდე დაბეჭდილია გაზეთში, ვერ გადმოგვცემენ მშენებლობის მიმდინარეობის ნამდვილ სურათს. ეს კი გაზეთს არ ეპატიება. მისი ვალია სისტემატიურად, საქმის ცოდნით წერდეს რესპუბლიკის ამ ერთ-ერთი დიდი სამშენებლო ობიექტის ავ-კარგზე, მშენებელი მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსების საქმიანობაზე, მშენებლობის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის სადღეისო ამოცანებზე.

მიმდინარე წელს უნდა ამუშაედეს ტყიბულის ჰიდროელექტროსადგური. მას, როგორც მარეგულირებელ სადგურს, დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის ენერგეტიკული რესურსების შესავსებად. მშენებლობაზე მთლიანად დამთავრდა ბეტონთა და რკინაბეტონით მოპირკეთებული გვირაბის გაყვანა. მალე დამთავრდება მიწის კაშხლის მშენებლობა, რის შედეგად დაიწყება წყალსაცავის ავსება. დამთავრებულია აგრეთვე მრავალი სხვა სამუშაო. მაგრამ თერჯოლის რაიონული გაზეთ **„საკოლმეურნეო სოფელში“** ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ კანტიკუეტად დაბეჭდილი ინფორმაციული ხასიათის მასალები კითხულობს ვერ აძლევს ამ საინტერესო მშენებლობის შესახებ. მშენებლობაზე მრავალად არიან მოწინავე ადამიანები, რომლებიც კარგად ფლობენ მდიდარ სამშენებლო ტექნიკას და წარმატებით იყენებენ მას, მაგრამ გაზეთს მათი ცხოვრება და საქმიანობა ხშირად ყურადღებიდან რჩება.

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის რაიონებში რაიონული გაზეთების რედაქციების ამოცანაა რაც შეიძლება ფართოდ, მკაფიოდ ასახონ თავიანთ ფურცლებზე ამ დიდმნიშვნელოვანი მშენებლობების მიმდინარეობა, უფრო ღრმად ჩასწვდნენ მშენებლობის საჭირბოროტო საკითხებს, საქმიანად დაეხმარონ მშენებლობათა პარტიულ ორგანიზაციებს მათ წინაშე მდგომი დიდი ამოცანების გადაწყვეტაში.

აღმოვფხვრათ სერიოზული ნაკლოვანებანი საგაზაფხულო სამუშაოებში

ვ. ძერძაძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს შეექმნა ხუთწლედში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველყოფის შესახებ ერთსულოვნად და მხურვალედ გამოეხმაურა მთელი საბჭოთა ხალხი.

ყრილობამ სხვა დიდ ამოცანებთან ერთად დასახა 1960 წლისათვის საბჭოთა კავშირში მარცვლეულის საერთო მოსავლის 11 მილიარდ ფუთამდე აყვანა. ამ მხრივ სერიოზული ამოცანები დგას ჩვენი რესპუბლიკის წინაშე. მეექვსე ხუთწლედში საქართველოში მარცვლეულის წარმოება უნდა გადიდდეს 1955 წელთან შედარებით დაახლოებით 1,3-ჯერ.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით, მთელ ძალებს იზამენ იმისათვის, რომ სასახელოდ შეასრულონ სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის დიადი პროგრამა.

მარცვლეული კულტურების მაღალი მოსავლის მიღების საქმეში კოლმეურნეობებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს. მაგალითად, გასულ წელს წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობამ, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, საშემოდგომო ხორბლის მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 20,2 ცენტნერი მარცვალი მიიღო, ხოლო ლაგოდეხის რაიონის კალინინის, ნინოშვილისა და ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობებმა — ჩვიდმეტ-ჩვიდმეტი ცენტნერი.

თავთავიან კულტურებთან ერთად ბევრმა კოლმეურნეობამ 1955 წელს სიმინდის ნათესების კარგი მოვლა-დამუშავების შედეგად სიმინდის მაღალი მოსავალი მიიღო. მაგალითად, სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის „პარიზის კომუნის“ სახელობის კოლმეურნეობაში ურწყავ პირობებში სიმინდის მთელ ნათეს ფართობზე მიიღეს საშუალოდ ჰექტარზე 24,5 ცენტნერი მარცვალი, ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათის კოლმეურნეობაში — 34,9 ცენტნერი, ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში — 30,4 ცენტნერი, კასპის რაიონის სოფელ ოკამის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობაში — 39,5 ცენტნერი, მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში — 49,2 ცენტნერი და ა. შ.

მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელება უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგად უკანასკნელი წლების განმავლობაში კოლმეურნეობებმა ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების საქმეში. მთელ რიგ რაიონებში შესამჩნევად გაიზარდა საკვები კულტურების ნათესი ფართობი.

მიმდინარე წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დიდად ჩამორჩა საგაზაფხულო სამუშაოები. ეს უწინარეს ყოვლისა აიხსნება მთელი რიგი რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისა და განსაკუთრებით კი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მოუქნელი და არაოპერატიული მუშაობით. 5 მაისის მდგომარეობით რესპუბლიკის კოლმეურნეობებში საგაზაფხულო კულტურები დათესილი იყო სულ 242.806 ჰექტარი, ანუ გეგმის 49,6 პროცენტი, მაშინ როცა გასული წლის ამავე ვადისათვის თესვის გეგმის შესრულება შეადგენდა 69 პროცენტს. განსაკუთრებით ჩამორჩა სიმინდის თესვა. შარშან ამ დროს დათესილი იყო 175.681 ჰექტარი სიმინდი, წელს კი დათესილია 141.103 ჰექტარი. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვაში. ცალკეული რაიონები და კოლმეურნეობები აშკარა შეუფასებლობას იჩენენ ამ პროგრესული ღონისძიების განხორციელებაში. 5 მაისამდე დათესილი 141.103 ჰექტარიდან კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესილია მხოლოდ 33.275 ჰექტარი. 1955 წლის ამავე რიცხვისათვის დათესილი იყო 45.233 ჰექტარი.

ცნობილია, რომ მოსავლიანობის გადიდების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საგაზაფხულო კულტურების დროულად დათესვას. მაგრამ ამას ბევრგან არ ითვალისწინებენ. ვხედებით თამბაქოსა და შაქრის ჭარხლის თესვისა და დარგვის ვადების უხეშ დარღვევას. მაგალითად, შაქრის ჭარხლის თესვის დამთავრების ვადისათვის — 10 აპრილისათვის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 60,8 პროცენტით, გასულ წელს კი ამავე ვადისათვის დათესილი იყო 99,8 პროცენტი. 5 მაისისათვის თამბაქოს რგვის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 9,6 პროცენტით, გასულ წელს კი ამავე ვადისათვის — 14,9 პროცენტით.

ბევრ რაიონსა და კოლმეურნეობას ყველა შესაძლებლობა ჰქონდათ მუშაობის კარგი ორგანიზაციით და ყოველ სამუშაო დღის მაქსიმალური გამოყენებით უზრუნველეყოთ თესვის დამთავრება დაწესებულ ვადებში.

რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში სიმინდის თესვაში სერიოზული ჩამორჩენაა, ზოგან კი ეს სამუშაო ჩაშალეს. მაგალითად, აბაშის რაიონის კოლმეურნეობებში 1 მაისისათვის სიმინდის თესვის გეგმა შესრულებული იყო 17,8 პროცენტით, ცხაკაიას — 26,5 პროცენტით, ზუგდიდის — 26,5 პროცენტით, ხობის—19 პროცენტით, სამტრედიის—21,5 პროცენტით, კაჭრეთის — 27,2 პროცენტით, ხოლო აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში — 10,1 პროცენტით. სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვაში უპასუხისმგებლობას იჩენენ აბაშის რაიონის კოლმეურნეობები. მათ მიერ დათესილი 1.675 ჰექტარიდან კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესილა მხოლოდ 110 ჰექტარი, ცხაკაიას რაიონში — 2.101 ჰექტარიდან 278 ჰექტარი, ზუგდიდის — 1.958 ჰექტარიდან 129 ჰექტარი, ლანჩხუთის — 1.853 ჰექტარიდან 346 ჰექტარი, ქუთაისის — 3.398 ჰექტარიდან 428 ჰექტარი, სამტრედიის — 1.814 ჰექტარიდან 228 ჰექტარი, აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში — 2.531 ჰექტარიდან 119 ჰექტარი.

მიმდინარე წელს სპეციალურად გამოყოფილ მეთესლეობის კოლმეურნეობებში საჰიბრიდიზაციო ნაკვეთებზე უნდა მიიღონ სიმინდის პირველი თაობის ჰიბრიდული თესლი. რაიონულმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა და მტს-ებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საჭირო ღონისძიებების დროულად და ხარისხოვნად განხორციელებას და ქმედითი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს ამ მეტად პასუხსაგები დავალების შესრულებაში.

სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს აგრეთვე საკვები კულტურების წარმოებაში. ზოგიერთ რაიონში მთლიანად არ არის გამოყენებული საკვები კულტურების ნათესი ფართობის გადიდების, საკოლმეურნეო წარმოებაში მაღალმოსავლიანი საკვები ბალახების, ძირხვენების, სასილოსე კულტურების ფართოდ დანერგვის დიდი შესაძლებლობანი, საკვები კულტურების მოსავლიანობა ჯერ კიდევ ძლიერ დაბალია. 1955 წელს სიღნაღის, ქუთაისის, სამტრედიის, ვანის რაიონებში და აფხაზეთის ასსრ რაიონებში საკვები კულტურების თესვის გეგმა 50 პროცენტზე ნაკლებით იყო შესრულებული.

მთელ რიგ რაიონებში მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკები წელსაც არ იჩენენ საჭირო მონდომებას იპოსათვის, რომ მეცხოველეობა უზრუნველყონ საკვებით, შეუწყნარებლად აგვიანებენ საკვები კულტურების თესვის დამთავრებას, არ გააქვთ საკვები ბალახების, საკვები ძირხვენების, ბაღჩეული და სასილოსე კულტურების მათთვის გამოყოფილი თესლი და ამ კულტურების თესვის გეგმის შესრულებას ჩაშლის საფრთხეში აყენებენ.

1956 წლის 1 მაისისათვის ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების თესვის გეგმა გორის რაიონის კოლმეურნეობებში შესრულებული იყო მხოლოდ 17,7 პროცენტით, გარდაბნის — 25,5, დმანისის — 2,9, სამტრედიის — 14,9 პროცენტით, ხოლო ბორჯომის, თიანეთის, გეგეჭკორის, ხობისა და ჩხოროწყუს რაიონების კოლმეურნეობები საკვები ბალახების თესვას დღემდე არ შესდგომიან.

გაჭიანურდა ბადრიჯნის, ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურების თესვა-დარგვა. ამიტომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ პროგრესულ მეთოდს, როგორიც არის ტორფნეშომპალის ქოთნებში ბოსტნეული კულტურების გამოყვანა. მაგრამ მთელმა რიგმა რაიონებმა ვერ უზრუნველყვეს ტორფნეშომპალის ქოთნების დამზადება და მათში ჩითილის მიღება. მიუხედავად იმისა, რომ რაიონებში ტორფი შეზიდულია თავის დროზე საკმაო რაოდენობით, იგი სოფლმომარაგების ბაზებიდან დღემდე გაუზიდავია.

ადრეული ბოსტნეულის წარმოების საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სასათბურო მეურნეობას. მიმდინარე წლის გაზაფხულზე რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა საკავლასათბურო მეურნეობის მოწყობა დაგეგმეს 70.916 ჩარჩოს რაოდენობით. 1 მაისისათვის გამართული და დათესილი იყო 53.652 ჩარჩო. დღემდე დამთავრებული არ არის კვალსათბურების მოწყობა გარეუბნის, გორის, ქუთაისის, ბორჯომის, მარნეულის, ბოლნისის და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

ნელი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების თესვა-დარგვა, განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში. 5 მაისისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დარგულია 7.475 ჰექტარი კარტოფილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 19.799 ჰექტარისა, ანუ გეგმის 37,8 პროცენტი. ამავე რიცხვისათვის ბოსტნეული დათესილია 5.862 ჰექტარი — გეგმის 47 პროცენტი.

კარტოფილის რგვა 1 მაისისათვის დამთავრებული არ ჰქონდათ გარეუბნის, ლაგოდეხის, კაჭრეთის, წითელწყაროს, სიღნაღის რაიონებს. კარტოფილის რგვა ძლიერ ჩამორჩა ახალქალაქის, თეთრი წყაროს, წალკის, ბორჯომის, ქარელის რაიონებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს თამბაქოს რგვა. 5 მაისისათვის დავალება შესრულებული იყო 9,6 პროცენტით. ამ საქმეში შესრულებაში განსაკუთრებით ჩამორჩენენ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ და ბოლნისის რაიონების კოლმეურნეობები.

ბევრ კოლმეურნეობაში დააგვიანეს თამბაქოს შემოსული ჩითილის გადარგვა და კვალსათბურებში გაზრდა. მაგალითად, მარნეულის რაიონის კიროვის, კალინინისა და მარქსის სახელობის, ლაგოდეხის რაიონის ჭავჭავაძის, ხეთაგუროვის და „ზარია ვოსტოკას“ სახელობის კოლმეურნეობებში ჩითილი გადაზრდილი იყო, ხოლო გადარგვა არ წარმოებდა ნიადაგის მოუმზადებლობის გამო.

ამოცანა ის არის, რომ მთელი ჩვენი ძალები დავრაზმით საგაზაფხულო კულტურების თესვისა და რგვის მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად დამთავრებისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ მიმდინარე წლის გაზაფხულის თავისებურებათა გამო ხელსაყრელ თვითეული დღის, საათის მაღალნაყოფიერად გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ორგანიზებულად წარმართვისა და უხვი მოსავლის მოსალინისათვის ბრძოლაში.

სტუდენტთა კომუნისტური აღზრდა ჩვენი ყოველდღიური საზრუნავია

პარტიის XX ყრილობამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დასახა უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების წინაშე. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი მოწოდებულია ამ ამოცანების შესაბამისად კიდევ უფრო გაუმჯობესოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადება, თავისი წვლილი შეიტანოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტექნიკის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში.

თავისი არსებობის მანძილზე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა მოამზადა 14.000-მდე სპეციალისტი, რომელთა დიდი ნაწილი წარმატებით მუშაობს როგორც საქართველოს, ისე მრავალ რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომით ხელს უწყობს საბჭოთა ხალხის ბრძოლას კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. ამჟამად ინსტიტუტში სწავლობს 2.700-მდე სტუდენტი. მათი აღზრდა-აღზრდის საქმეს 315 პროფესორ-მასწავლებელი ემსახურება.

სტუდენტთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ინსტიტუტის დირექციის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა. სტუდენტთა აღზრდისათვის აქ გარკვეული ღონისძიებები ხორციელდება. მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

იშვიათი როდია სტუდენტთა მიერ დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, ხულიგნობის, ლოთობის და სხვა ამორალური ქცევის შემთხვევები. ხშირად ასეთი სურათის მოწმე გახდებით: ინსტიტუტის სტუდენტები უსაქმოდ დგანან ქუჩაში, უხეშად აროვევენ ქალაქში მოძრაობის წესებს, უწესოდ იქცევიან ტრამვაისა და ტროლეიბუსში. მათ არაწესიერად უჭირავთ თავი საერთო საცხოვრებლებში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში. მთელი რიგი ფაქტები მოწმობენ სტუდენტთა ისეთ დაუშვებელ მოქმედებას, რომელიც არცხვენს ინსტიტუტის კოლექტივის სახელს, საბჭოთა ახალგაზრდის მორალურ სახეს.

ამ ცოტა ხნის წინათ აგრონომიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტებმა ა. მიქელაძემ და ი. ურუშაძემ სტუდენტისათვის შეუფერებელი საქციელი ჩაიდინეს—პირადი ანგარიშის გასწორების მიზნით ქალაქგარეთ გაიყვანეს ერთ-ერთი თავიანთი თანაკურსელი და ჩხუბი აუტეხეს მას. ეს სტუდენტები წინათაც იყვნენ შემჩნეულნი ულიგნობაში. ამჟამად ისინი ხასაბარულო პასუხისგებაში არიან მიცემული.

ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა, კომკავშირელმა ნ. კალმახელიძემ მიმდინარე სასწავლო წელს ხულიგნური საქციელი ჩაიდინა—იგი მთვრალი შეიჭრა გორის საფეიქრო კომბინატის მუშა ქალების ოთახში, ჩაამტვრია მინები და შეურცხყოფა მიაყენა მათ, რისთვისაც გრიცხულ იქნა როგორც კომკავშირიდან, ისე ინსტიტუტიდან.

ინსტიტუტის დირექციამ, პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს სტუდენტთა უდისციპლინობის აღკვეთას. ისინი ნაკლებად ამხილებენ უდისციპლინო სტუდენტებს, მათს ირგვლივ არ ქმნიან საზოგადოებრივ აზრს, ხშირად უყურადღებოდ ტოვებენ სტუდენტის ისეთ მოქმედებას, რომელიც თითქოს „წვრილმანია“. მათ ავიწყდებათ, რომ სტუდენტის მიერ დღეს ჩადენილი, ერთის შეხედვით „უმნიშვნელო“ დანაშაული შესაძლებელია მომავალში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის უხეშ გამოვლინებად გადაიქცეს.

ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ბრძოლა ყველა შრომელის, და მათ შორის სტუდენტთა, საპატიო მოვალეობაა. ინსტიტუტის ფაკულტეტები ხშირად გამოჰყოფენ ხოლმე სტუდენტებს, რომლებიც მილიციის მუშაკებთან ერთად იმყოფებიან ქუჩაში და მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ საერთო წესრიგის დაცვას. სამწუხაროდ, ზოგჯერ ეს სტუდენტები არათუ არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, არამედ თვითონ გამოდიან წესრიგის დამრღვევთა როლში. მაგალითად, ჯ. ხელაშვილი და ო. სმიჩკოვი (სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტი) სხვებს მოუწოდებდნენ წესრიგისაკენ, მაგრამ ქუჩაში მორიგეობის დამთავრების შემდეგ დათვრნენ და დებოში ატეხეს.

ყოველივე ეს იმის შედეგიც არის, რომ პროფესორ-მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი თავის მოვალეობას სტუდენტთა აღზრდაში მეცადინეობის ჩატარებით ამოწურავს და ხშირად არ იმყოფება სტუდენტთა ფართო მასებში, არ იცნობს მათს ცხოვრებას, ყოველდღიურ საქმიანობას. ბევრ პროფესორსა და მასწავლებელს „არა სცალია“ ახალგაზრდობის აღზრდისათვის. მართლაც რა დრო უნდა დარჩეს ზოგიერთ მათგანს, როცა შეთავსებით რამდენიმე ადგილას მუშაობს. შემთავსებელთა შორის არიან პროფესორები ს. ქარუმიძე, ნ. იაშვილი, ლ. უანჩაველი, დ. თავხელიძე, დოცენტები ვ. ლომინაძე, ი. მეცხვარიშვილი და სხვ. ისინი თუნდაც ერთხელ მაინც რომ მისულიყვნენ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, ადვილად დაინახავდნენ, რომ იქ არადამაკმაყოფილებლად დგას პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა. საერთო საცხოვრებელში არ იმართება ლექციათ-მოხსენებები, არ ეწყობა არავითარი გართობა, დასვენების საღამოები და სხვ.

პროფესორ-მასწავლებელთა უყურადღებობა ახალგაზრდობის აღზრდისადმი იწვევს სეზონურულ ნაკლოვანებებს სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში. ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ დღემდე ვერ მიაღწია სტუდენტთა აკადემიური წარმატების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას. სტუდენტების უმრავლესობა (60-65 პროცენტი) „საშუალოზე“ სწავლობს, მცირეა ფრიადოსანთა და კარგოსანთა რიცხვი.

ცოტა როდია ისეთი ახალგაზრდა, რომელიც მიმდინარე სასწავლო წელს აკადემიური ჩამორჩენილობის გამო ინსტიტუტიდან გაირიცხა. აი რამდენიმე მათგანი: მექანიზაციის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები ი. ბარაბაძე, მ. არუთინოვი, ს. ბაღდავაძე, სატყეო ფაკულტეტის I კურსის სტუდენტები ი. ჩხიკვიშვილი, ვ. ხარჩილავა.

ინსტიტუტში ზოგიერთ დისციპლინაში მეცადინეობა არასაინტერესოდ, მოსაწყენად, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების გაუთვალისწინებლად ეწყობა. საჭიროა მკვეთრად ამადლდეს ლექციებისა და პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობის ხარისხი.

დაბალი აკადემიური მაჩვენებლების ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ სტუდენტთა საგრძნობი ნაწილი უმიზეზოდ აცდენს მეცადინეობას. მიმდინარე სასწავლო წლის მეორე ნახევარში უმიზეზოდ გაცდენილია 14.605 აკადემიური საათზე მეტი. 1 სექტემბრიდან 1 აპრილამდე არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 57.917 საათი. ლექცია-პრაქტიკუმების უმიზეზოდ გაცდენით განსაკუთრებით „ისახელეს თავი“ ჰიდრომელიორაციის, აგრონომიული და სხვა ფაკულტეტების სტუდენტებმა. სტუდენტმა კ. ბუზალაძემ (აგრონომიული ფაკულტეტი) უმიზეზოდ გააცდინა 54 საათი, ე. ჯიმშელეიშვილმა და ო. ბოკერიამ (მექანიზაციის ფაკულტეტი) — 70-ზე მეტი საათი თვითეულმა, ხოლო ამავე ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი შ. აბაიშვილი გაირიცხა ლექცია-პრაქტიკუმების სისტემატური გაცდენისათვის.

ამასთან გამორკვეულია, რომ ზოგიერთი ჯგუფხელი სტუდენტთა დასწრების აღრიცხვას არაკეთილსინდისიერად აწარმოებს. დასწრებას არაზუსტად აღრიცხავდნენ მექანიზაციის ფაკულტეტის II კურსის ჯგუფხელი რ. ჯიქია, III კურსის ჯგუფხელები ა. მიშველიძე და ო. ყავლაშვილი. ისინი მოხსნილ იქნენ ჯგუფხელობიდან და ადმინისტრაციული სასჯელი დაედოთ.

სოფლის მეურნეობის მომავალი სპეციალისტების აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტთა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის სწორად და ხარისხიანად მოწყობას. მაგრამ ამ მხრივაც ყველაფერი რიგზე როდია. მაგალითად, ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკაზე გაიგზავნენ პრაქტიკის პროგრამისა და მეთოდიკის უქონლად. წინასწარ არ მოეწყო პრაქტიკის ობიექტების შერჩევა და შესწავლა.

საწარმოო პრაქტიკაზე სტუდენტთა განაწილების დროს ზოგჯერ არ ითვალისწინებენ საკურსო და სადიპლომო თემების ხასიათს და წარმოების კონკრეტული ეკონომიკის საკითხებს. სუსტია ხელმძღვანელობა და კონტროლი სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკისადმი. ყოველივე ამას შედეგად მოსდევს ის, რომ ახალგაზრდა სპეციალისტები ჯერ კიდევ ვერ იძენენ საკმაო ცოდნას კონკრეტული ეკონომიკისა და წარმოების ორგანიზაციის საკითხებზე.

პარტიის XX ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დაუსწრებელ სწავლებას. მეექვსე ხუთწლედში კიდევ უფრო განვითარდება და გაიზრდება დაუსწრებელი სწავლების ქსელი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე ამჟამად 1.800 სტუდენტი ირიცხება. ფაკულტეტის საქმიანობაში ვხვდებით არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს. აქაც სრულიად არადამაკმაყოფილებელია აკადემიური წარმატების ხარისხობრივი მაჩვენებლები, არის ისეთი შემთხვევები, როცა მაღალ კურსებზე გადაყვანილ სტუდენტებს ჩაბარებული არა აქვთ წინა კურსების ცალკეული დისციპლინები.

ინსტიტუტში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება ბევრად არის დამოკიდებული სტუდენტთა და თანამშრომელთა შორის ლექციური პროპაგანდის მაღალ იდეურ დონეზე. არ შეიძლება ითქვას, რომ ინსტიტუტში რეგულარულად არ იკითხებოდეს ლექციები, მოხსენებები, არ ტარდებოდეს თეორიული კონფერენციები და არ ხორციელდებოდეს სხვა სახის ღონისძიებები. მაგრამ ჯერ კიდევ უზრუნველყოფილი არ არის ლექციური პროპაგანდის მაღალი ხარისხი. ლექციები ხშირად ეწყობა შაბლონურად, მათში არ იგრძნობა სიახლე. საკმაო ყურადღება არ ექცევა ისეთი საკითხების პროპაგანდას, როგორიც არის საბჭოთა პატრიოტიზმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, ხალხთა შორის მეგობრობა, მასების რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერება და სხვ. კომკავშირის კომიტეტის მომხსენებელთა ჯგუფის და სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მუშაობა სუსტად არის დაკავშირებული თანამედროვეობის მოთხოვნებთან.

პარტიის XX ყრილობაზე აღინიშნა, რომ თეორიის მოწყვეტა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკისაგან, დოგმატიზმი და მედავითნეობა ჯერ კიდევ ფართოდ არის გავრცელებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებაში, რაც უარყოფითად მოქმედებს სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის მდგომარეობაზე, სტუდენტთა იდეურ აღზრდაზე. ეს სერიოზული ნაკლოვანებანი მთლიანად შეეხება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტსაც. ზოგიერთი ლექცია და სემინარი მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში და პოლიტიკურ ეკონომიაში დაბალ იდეურ დონეზე ეწყობა.

უნდა გვახსოვდეს, რომ საჭიროა თვითეული საბჭოთა სპეციალისტი არა მარტო დაეუფლოს თავის პროფესიას, არამედ იდეოლოგიურადაც იყოს მომზადებული. იგი მზად უნდა იყოს გახდეს არა მარტო სოციალისტური სოფლის მეურნეობის, კულტურის ამა თუ იმ უბნის ხელმძღვანელი, არამედ ადამიანთა ორგანიზატორი და გულისხმიერი აღმზრდელიც. ამიტომ აუცილებელია ძირეულად გავაუმჯობესოთ ინსტიტუტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების საქმიანობა, გადაჭრით ავამაღლოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა და სტუდენტთა აღზრდა კომუნისტური სულისკვეთებით.

სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის სუსტად იბრძვიან ინსტიტუტის დირექცია, პარტიული კომიტეტი, კომკავშირის კომიტეტი.

ამოცანა ის არის, რომ ყოველდღიურად ვიზრუნოთ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის, გადაჭრით გავაუმჯობესოთ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა სტუდენტთა შორის.

ს. არღუნელი,
მ. ვარდოსანიძე.

ლექტორთა თათბირი-სემინარი

წალენჯიხა. (საკ. კორ.). გაიმართა პარტიის რაიკომის, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების რაიონული განყოფილების, რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებისა და კომკავშირის რაიკომის ლექტორთა ჯგუფის წევრებისა და პოლიტიკური მომხსენებლების რაიონული თათბირი-სემინარი.

სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა მასებისათვის გაცნობის მიზნით ლექციური პროპაგანდის მოწყობის შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიის წალენჯიხის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ტ. მოლაშხიამ.

თათბირ-სემინარზე მოსმენილ იქნა აგრეთვე თეორიული ხასიათის ლექცია-მოხსენებები თემებზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი საბჭოთა ხალხის ნათელი პროგრამაა კომუნიზმის მშენებლობაში ახალი გამარჯვებებისათვის ბრძოლაში“, „მარქსიზმ-ლენინიზმი ისტორიაში ხალხის მასების გადამწყვეტი როლის შესახებ“ და „სკკპ XX ყრილობა პიროვნების კულტის გადმონაშთების დაძლევის აუცილებლობის შესახებ“.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა მოითხოვეს ხშირად იკითხებოდეს ლექციები და მოხსენებები პარტიის XX ყრილობაზე წამოყენებული თეორიული საკითხების გარშემო.

თათბირმა დასახა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ლექციური პროპაგანდის შემდგომ გაუმჯობესებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიჯეჯში საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურის ა. ა. გრომიკოს განცხადება

საკადესის ლონდონელი კორესპონდენტისათვის ქვეკომიტეტის სესიის მუშაობის შედეგების შესახებ

ლონდონი, 6 მაისი. (საკადესი). საკადესის კორესპონდენტმა მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში სსრ კავშირის დელეგაციას კითხვით — შეუძლია თუ არა ამხანაგ ა. ა. გრომიკოს თქვას, როგორ აფასებს იგი ქვეკომიტეტის წარსული სესიის მუშაობას.

ქვემოთ მოგვყავს ამხანაგ ა. ა. გრომიკოს განცხადება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტს, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი და კანადა, ლონდონში სხდომები ჰქონდა ექვსი კვირის განმავლობაში და განიხილავდა სხვადასხვა წინადადებას, რომლებიც განიარაღების პრობლემაზე ქვეკომიტეტის მონაწილეებმა შემოიტანეს. საჭირო არ არის ვრცლად ვილაპარაკოთ განიარაღების შეწყვეტის ამოცანის მნიშვნელობაზე. ამ ამოცანის გადაჭრით სასიცოცხლოდ დაინტერესებულია ყველა ხალხი, რომლებსაც აკისრიათ იმ სამხედრო ხარჯების ტვირთი, რომლებსაც იწვევს სახელმწიფოთა ჯარში შეიარაღებული ძალების შენახვა.

საბჭოთა დელეგაცია ქვეკომიტეტში, გამოხატავდა რა საბჭოთა კავშირის უცვლელ მოსაზრებას — ხელი შეუწყოს განიარაღების პრობლემის გადაჭრას, ყოველივე შესაძლებელს აკეთებდა, რათა გაეადვილებინა საერთო შეთანხმების მიღწევა. ამ მიზნით 27 მარტს ქვეკომიტეტის განსახილველად შეტანილ იქნა სსრ კავშირის ახალი წინადადება.

ეს წინადადება ითვალისწინებს დაახლოებით სამი წლის პერიოდში განხორციელდეს შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების, უწრფარეს ყოველისა ხუთი დიდი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების არსებითი შემცირება. გათვალისწინებულია, რომ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის შეიარაღებული ძალების ზღვრული დონე უნდა დაწესდეს 1-1,5 მილიონი კაცის რაოდენობით და ინგლისისა და საფრანგეთისათვის — 650 ათასი კაცის რაოდენობით.

სსრ კავშირის წინადადება ითვალისწინებს სათანადო ხელშეკრულებით სახელმწიფოთა მიერ ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისადმი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის დაწესებას. წინადადება ითვალისწინებს: ჯერ-ერთი, რომელიმე სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოზე უეცარი თავდასხმის თავიდან აცილების მიზნით შესაბამის სახელმწიფოთა ტერიტორიებზე დაწესდეს ურთიერთ საფრთხისგზე საკონტროლო პოსტები დიდ ნავსადგურებში, რკინიგზის კვანძებზე, ავტომაგისტრალებზე, აეროდრომებზე. ამ პოსტების ამოცანა იქნება თვალყური ადევნონ იმას, რომ არ მოხდეს სამხედრო სახელეთო ძალების, აგრეთვე სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების საშიში კონცენტრაციაა. მეორე, საერთაშორისო ინსპექციის იმ უფლებას, რომ კონტროლის იმ ფუნქციების ფარგლებში, რომლებსაც იგი ახორციელებს, დაუბრკოლებლად ამოწმებდეს ყველა საკონტროლო ობიექტს: ჯარის წყობას, სამხედრო საჰაერო ნავიერ-ლისა და საომარი მასალების საწყობებს, სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო, საჰაერო-საზღვაო ბაზებს, ქარხნებს, რომლებიც ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღებასა და საომარ მასალებს ამზადებენ.

საბჭოთა კავშირის წინადადებაში შემდეგ გათვალისწინებულია, რომ ევროპაში უნდა შეიქმნას შეიარაღების შეზღუდვისა და ინსპექციის ზონა, სადაც უნდა შედიოდეს გერმანიის ორივე ნაწილის, აგრეთვე მათი მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორია.

გათვალისწინებულია აგრეთვე ზოგიერთი ნაწილობრივი ღონისძიების განხორციელება გაერთიანების დარგში, სახელდობრ: თერმობატომიანი იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტა;

იმის დაუშვებლობა, რომ ატომის იარაღი ექნეთ ჯარებს, რომლებიც გერმანიის ტერიტორიაზე იმყოფებიან;

სახელმწიფოთა სამხედრო ბიუჯეტების შემცირება 15-მდე პროცენტით წინა წლის სამხედრო ბიუჯეტებთან შედარებით.

ამასთან მხედველობაშია მიღებული, რომ ამ ნაწილობრივ ღონისძიებათა განხორციელება დამოკიდებული არ იქნება იმ სხვა საკითხების შესახებ შეთანხმების მიღწევაზე, რომლებიც გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის განიარაღების შესახებ ახალი საბჭოთა წინადადების ძირითადი შინაარსი.

რას ემყარებოდა საბჭოთა მთავრობა, როცა ეს წინადადება შეიტანდა? იგი ემყარებოდა იმას, რომ განიარაღების პრობლემის განხილვას იმ მხრივ, რომ მიღწეული ყოფილიყო შეთანხმება მთლიანად ამ პრობლემაზე, მათ შორის ატომური იარაღის აკრძალვის საკითხზე, შეთანხმება არ მოჰყვა. შეთანხმება მიღწეული არ ყოფილა არა მარტო რომელიმე დიდმნიშვნელოვან საკითხზე, არამედ მიღწეული არ ყოფილა არავითარი ნაწილობრივი შეთანხმება, რომელსაც საქმე დაეძრა მკვდარი წერტილიდან.

მეტად დიდი აღმოჩნდა განსხვავება საბჭოთა კავშირის პოზიციასა, რომელიც მოითხოვს საბჭოთა და უწინარეს ყოვლისა დიდ სახელმწიფოთა შეიარაღებისა და „შეიარაღებული ძალების შემცირების განხორციელებას, აგრეთვე ატომური იარაღის უთუო აკრძალვას, და დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციებს შორის.

ამიტომ ბუნებრივია, რომ ასეთ მდგომარეობაში გაორეულად უნდა აღძრულიყო საკითხი, ხომ არ შეიძლება ვცადოთ ჯერ შეთანხმდეთ განიარაღების ორი მთავარი საკითხიდან ერთზე, სახელდობრ — ჩვეულებრივ შეიარაღებაზე.

ეს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს ახალ მიდგომას განიარაღების პრობლემის გადაჭრისადმი. მაგრამ ასეთ მიდგომას დიდი უპირატესობა აქვს. იგი ქმნის შესაძლებლობას ჯერ შეგითანხმდეთ ამ საკითხზე, რომელზეც სსრ კავშირისა და დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციები ერთ დროს მნიშვნელოვნად დაახლოვდნენ, და ჯერჯერობით განზე დაეტოვოთ ატომური იარაღის საკითხი, რომელზეც უთანხმოება ძირითადი დაბრკოლება იყო განიარაღების პრობლემის შესახებ შეთანხმების გზაზე.

უნდა ითქვას, რომ საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა შეთანხმება ჯერ ჩვეულებრივ შეიარაღებაზე, პირველად დაყენებულ იქნა არა ჩვენ მიერ, არა საბჭოთა კავშირის მიერ. იგი დააყენეს დასავლეთის სახელმწიფოებმა, კერძოდ ინგლისმა, რომელმაც მოითხოვა როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ისე ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ექნენეს თათბირზე 1955 წელს სწორედ ასეთი მიდგომა განიარაღების პრობლემის გადაჭრისადმი.

საბჭოთა კავშირმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტისათვის თავისი წინადადების მომზადებისას გითვალისწინა დასავლეთის სახელმწიფოების, და კერძოდ ინგლისის, ეს სურვილი იმ იმედით, რომ ამას შეუძლია გააადვილოს დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის საჭირო შეთანხმების მიღწევა.

შემდეგ რა გამოვიდა? გამოვიდა ის, რომ, როცა საბჭოთა კავშირი დათანხმა აღნიშნულ თვალსაზრისს და სათანადო წინადადება შეიტანა ქვეკომიტეტის განსახილველად, დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა განგვიცხადეს, რომ მიუღებელია წინადადება — ჯერ შეთანხმდეთ ჩვეულებრივ შეიარაღებაზე, რომ საჭიროა გადაიჭრას მთელი პრობლემა ერთბაშად. სხვანაირად რომ ვთქვათ, ნაცვლად იმისა, რომ გამოვიყენოთ აღნიშნული ახალი მიდგომა განიარაღების პრობლემის გადაჭრისადმი, ჩვენ ნაბიჯებს გვაძლევენ წინანდებურად ვიტრიალოთ იმავე მოჯადოებულ წრეში, რომელშიც უკვე 10 წელიწადს ვტრიალებთ.

ცდილობენ რა გამართლონ უარისთქმა იმ თვალსაზრისზე, რომელიც დასავლეთის სახელმწიფოებმა წინათ გამოთქვეს, ამ სახელმწიფოთა წარმომადგენლები ქვეკომიტეტში ჩვენს ყურადღებას ჩვეულებრივ იმას მიაქცევენ, რომ უმეტესობასა, მივალწიონ შეთანხმებას მთლიანად განიარაღების პრობლემაზე, ვიდრე ამ პრობლემის ნაწილზეო. მაგრამ ამასთან უგულებელყოფენ ზემოაღნიშნულ გარემოებას, რომ შეუძლებელი აღმოჩნდა შეთანხმების მიღწევა პრობლემაზე მთლიანად. ნამდვილად კი, ამჟამად ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ან მიღწეული იქნება შეთანხმება პრობლემის ნაწილზე, რათა შემდეგ გადადვილდეს შეთანხმება განიარაღების პრობლემაზე მთლიანად, ანდა არ იქნება არავითარი შეთანხმება, და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი განიარაღების ქვეკომიტეტი კვლავაც ერთი და იმავე ადგილის ტაკეპნას განაგრძობენ.

მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს ხუთი დიდი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების დონეების საკითხის განხილვა.

დონეების შესახებ ზემოაღნიშნული საბჭოთა წინადადებიდან გარდა, რომელიც ამეორებს დასავლეთის სახელმწიფოთა წინათ შემოტანილ წინადადებას ამ საკითხზე, ქვეკომიტეტის განსახილველად შემოტანილი იყო ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ახალი წინადადება — ხუთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების უფრო მაღალი დონეების დაწესების შესახებ. ამ წინადადების თანახმად, შეიარაღებული ძალების რაოდენობა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთისათვის გათვალისწინებულია 2,5 მილიონის რაოდენობით თვითეულისათვის და ინგლისისა და საფრანგეთისათვის — 750 ათასით თვითეულისათვის.

ამრიგად, დასავლეთის სახელმწიფოებმა უარი თქვეს ხუთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მათ მიერ წინათ დასახელებულ დონეებზე მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი მათს წინადადებას დეთანხმა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამასთან დაკავშირებით ლონდონში ბევრნი ხუმრობით აღნიშნავენ, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა თვალსაზრისით, ქვეკომიტეტში მიღწეულია აშკარა „პროგრესი“, რადგან სამი სახელმწიფოსათვის შეიარაღებული ძალების მათ მიერ მოთხოვნილი დონეების ციფრი მნიშვნელოვნად გადიდდა 1-1,5 მილიონიდან 2,5 მილიონ კაცამდე.

მართალია, ჩვენ გვეუბნებიან, რომ მოთხოვნილი ციფრი — 2,5 მილიონი კაცი სამი სახელმწიფოდან თვითეულისათვის და 750 ათასი ინგლისისა და საფრანგეთისათვის საბოლოო ციფრი როდია, რომ როდისმე მომავალში შეიძლება შევთანხმდეთ უფრო დაბალ დონეებზეც. მაგრამ იქვე აზუსტებენ, რომ უფრო დაბალი დონეების საკითხი შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოწესრიგდება სხვა გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემები, მათ შორის გერმანიის პრობლემა.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ შეიარაღებული ძალების დონეების, ისევე როგორც განიარაღების სხვა საკითხების გადაჭრის დაკვიდმდებარება. მაგალითად, გერმანიის პრობლემის გადაჭრასთვის ფაქტიურად ნიშნავს თავის არიდებას შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხის გადაჭრის საკითხისათვის. აი ამიტომ განცხადება, თითქოს დასავლეთის სახელმწიფოების მიერ რეკომენდებული ზემოაღნიშნული დონეები შეიარაღებული ძალებისა „დროებითია“, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველსა და დამაჯერებლობას.

დონეების საკითხის განხილისას ხშირად გვეუბნებოდნენ, რომ თითქოს ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა შესაძლებლობას არ იძლევა დავეთანხმოთ შეიარაღებული ძალების იმ დონეების დაწესებას, რომლებსაც საბჭოთა კავშირი მოითხოვს და რომლებსაც დასავლეთის სახელმწიფოები წინათ მოითხოვდნენ. მაგრამ ამ მოსაზრებას საერთო არა აქვს რა საქმის რეალურ მდგომარეობასთან.

წინათ, როცა დასავლეთის სახელმწიფოებმა შემოიტანეს თავიანთი წინადადებანი შეიარაღებული ძალების დონეების შესახებ, საერთაშორისო ვითარება მნიშვნელოვნად უფრო დაძაბული და რთული იყო. საკმარისია აღვნიშნოთ უკვე თუნდაც ის, რომ იმ დროს კიდევ გრძელდებოდა საომარი მოქმედება კორეასა და ინდოჩინეთში. მას შემდეგ მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, რომელშიც დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირმა.

ყოველივე ეს იმდენად ცხადია, რომ საჭიროდ არ მიმაჩნია ვრცლად ვილაპარაკო ამ თემაზე.

განიარაღების პრობლემის განხილვის მსვლელობაში, როგორც ცნობილია, სერიოზული უთანხმოება არსებობდა საერთაშორისო კონტროლის საკითხში. საბჭოთა კავშირი ზოგიერთ სხვა სახელმწიფოთაგან განსხვავებით იმ თვალსაზრისს იდგა და იდგას, რომ საერთაშორისო

(დასასრული მე-4 გვერდზე)

მოწინავეთა გამოცდილება — მასებს

წარჩინებული მეჭარხლე

ანა ელბაქიძე

★

1955 წლის სექტემბრის სალამო იყო. ხალისიანი შრომის შემდეგ კოლმეურნეები შინისაკენ მიემართებოდნენ. ერთ მათგანს, შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის ოსტატს ანა ელბაქიძეს ბრიგადირი შემოხვდა და უთხრა, რომ მას კოლმეურნეობის თავმჯდომარე სთხოვდა სასწრაფო საქმეზე მოსალაპარაკებლად. ანას სახლში არც შეუდგამს ფეხი, პირდაპირ კანტორაში გამოცხადდა.

—ამხანაგო ანა, ჩვენ ორივენი ზეგ პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომაზე უნდა გამოვცხადდეთ. იქ ისმენენ საკითხს შენი გამოცდილების გავრცელების შესახებ. აქედანვე იცოდე არ აღელდე, ნელა, მოფიქრებულად ილაპარაკე იმ ღონისძიებებზე, რომლებითაც აღწევ ჭარხლის მაღალი მოსავლის მიღებას, — უთხრა მას სოფელ ქვემო ხვედურეთის (ქარელის რაიონი) კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. არხოშაშვილმა.

ანა ელბაქიძეს აღელვება დაეტყო; ისედაც სიტყვაძვირ ქალს ეძნელებოდა რაიონის ხელმძღვანელების წინაშე გამოსვლა, მაგრამ რას იზამდა, ამას საერთო საქმე მოითხოვდა.

რაიკომის ბიურომ მოისმინა ნოვატორი მეჭარხლე ქალის ანგარიში და მიიღო დადგენილება მეჭარხლეობაში მისი გამოცდილების ფართოდ დანერგვის შესახებ.

...ანა ელბაქიძე დიდი ხანია კოლმეურნეობაში მუშაობს და სახელი გაითქვა შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მოყვანით. არ ყოფილა ისეთი წელი, რომ მას გადაჭარბებით არ შეესრულებინოს ჭარხლის მოსავლიანობის გეგმა, ხოლო ზოგჯერ დავალებებს ორმაგად და სამმაგადაც ანაღდებდა. აქიტომ იყო, რომ რაიონის მშრომელებმა მას დიდი ნდობა გამოუცხადეს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. შარშან იგი დაჯილდოებულ იქნა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ბრინჯაოს მედლით.

გასულ წელს ელბაქიძის რგოლის წევრებმა მოსავლელად მიჩენილი 4,17 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 475 ცენტნერი შაქრის ჭარხალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 300 ცენტნერისა, ხოლო ანა ელბაქიძემ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურის ა. ა. გრომიკოს განცხადება

(დასასრული)

კონტროლი უნდა დაექვემდებაროს განიარაღების კონკრეტულ ღონისძიებებს. ასეთ ღონისძიებებს მოწყვეტილი კონტროლი მოკლებულია ყოველგვარ აზრს.

სსრ კავშირის აღნიშნული 27 მარტის წინადადება ითვალისწინებს საერთაშორისო კონტროლის მეტად ფართო უფლებებს, რომლებიც საშუალებას აძლევენ მას ეფექტიანად განახორციელოს თავისი ფუნქციები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კონტროლის საკითხშიც, თუ მოლაპარაკების ყველა მონაწილე გამოიჩენს შეთანხმების ნამდვილ სურვილს, ძნელი არ იქნება შეთანხმების მიღწევა. მაგრამ შეთანხმება ამ საკითხშიც ჯერჯერობით მიღწეული არ არის. ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება ასეთი შეთანხმების მიღწევის გზაზე არის დასავლეთის სახელმწიფოების ახალი პირობები, რომლებიც წინათ არ ყოფილა წამოყენებული. ასეთია, მაგალითად, წინადადება აეროფოტოგადაღების შესახებ, რომელსაც სინამდვილეში არავითარი დამოკიდებულება არა აქვს განიარაღებისადმი ნამდვილ კონტროლთან და სულ სხვა მიზნებს ისახავს.

ამრიგად, კონტროლის დარგშიც, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა შეიტანა წინადადება, რომელიც ითვალისწინებს ფართო რწმუნებებს საერთაშორისო საკონტროლო ორგანოსათვის, რაც აუცილებელია. რათა მან ეფექტიანად შეასრულოს თავისი ფუნქციები, დასავლეთის სახელმწიფოებმა არსებითად იწყეს უკანდახევა, სხვადასხვაგვარი ახალი პირობების წამოყენება, რომლებიც წინათ არავის უხსენებია.

სსრ კავშირის წინადადების, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წინადადებათა განხილვისას ჩვენს ყურადღებას მიაქცევდნენ ამას, რომ დასავლეთის სახელმწიფოების წინადადებებს თითქოს ის უპირატესობა აქვთ, რომ ისინი ეხებიან ატომურ იარაღსაც. მაგრამ, როგორც ცნობილია, ატომურ იარაღს შეიძლება სხვადასხვანაირად შეეხო.

საბჭოთა კავშირი მოითხოვს უთუოდ იკრძალოს ატომური იარაღი. მისი პოზიცია ჩამოყალიბებულია მთელ რიგ წინადადებებში, რომლებიც მან შეიტანა როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად, ისე ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლთა შესაბამის თათბირებზე. ეს პოზიცია ჩამოყალიბებულია, კერძოდ. სსრ კავშირის 1955 წლის 10 მაისის წინადადებებში, რომლებიც, როგორც ცნობილია, ძალაში რჩება.

შეიძლება აგრეთვე ისე შეეხო ატომური იარაღის საკითხს, რომ მისი გადაჭრა კიდევ უფრო გაძნელდეს. სწორედ ასე ეხებიან მას დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებანი. მათი უკანასკნელი წინადადებანი არათუ არ აიაღვლებენ შეთანხმებას ატომის საკითხზე, არამედ, პირიქით, ართულებენ მის მიღწევას.

აი ამის შესახებ შესაბამისი ფაქტები:

თავის დროზე საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის არსებითად შეთანხმებული იყო საკითხი ატომური იარაღის აკრძალვის იმ ღონისძიებათა განხორციელების წესის შესახებ, რაზეც ითვალისწინებდნენ აგრეთვე მის საბოლოოდ ამოღებას სახელმწიფოების შეიარაღებიდან, რათა ატომის ენერგია გამოყენებული ყოფილიყო მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით. მართალია, ჯერ კიდევ ბევრ რამეზე უნდა მომხდარიყო შეთანხმება, სანამ განხორციელდებოდა შეთანხმება ატომური იარაღის საბოლოო აკრძალვის წესის შესახებ. მიუხედავად ამისა, ისიც, რაც შეთანხმებული იყო, წარმომადგენელ წინსვლას. ახლა ამ შეთანხმებას, როგორც იტყვიან, „ჯვარი დაუსვეს“, იმოწმებენ რა იმას, რომ ძნელია კონტროლი გაეწიოს ატომური იარაღის საბოლოო აკრძალვისა და შეიარაღებიდან მისი ამოღების შესახებ შეთანხმების შესრულებას. ატომური იარაღის ასეთ აკრძალვაზე დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენელნი ახლა არც კი ლაპარაკობენ და სჯერდებიან იმ აზრის გამოთქმას, რომ ოდესმე მომავალში ეს საკითხი უნდა განიხილონ სპეციალისტმა მეცნიერებმა, სწორედ მხოლოდ უნდა განიხილონ.

ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ საკმარისი იქნებოდა გადაგვეჭრა ატომური იარაღის წარმოებას შეწყვეტის საკითხი და მისი სრული აკრძალვის საკითხის გადაჭრა გადაგვედო გაურკვეველი მომავლისათვის. ამბობენ, მაგალითად, რომ შეთანხმება ატომური იარაღის წარმოების შეწყვეტის შესახებ უკეთესი ი. ვიდრე ის, რომ არ გვქონდეს არავითარი შეთანხმება ატომის საკითხზე, რომ იგი იქნებოდა აგრეთვე წინ გადადგმული ნაბიჯი. მაგრამ სამწუხაროა, რომ სინამდვილეში დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებანი ამ საკითხის გადაჭრასაც კი არ იძლევიან. სამწუხაროა, რომ მათი წინადადებანი ატომური იარაღის შესახებ, ისევე როგორც წინადადებანი, რომლებიც ჩვეულებრივ შეიარაღებას შეეხებიან, შეიცავენ იმდენ სხვადასხვა წინასწარ პირობას, რომ ამ მხრივაც გამორიცხულია წინსვლის ყოველგვარი შესაძლებლობა. უკვე მარტო ის ფაქტი, რომ წინასწარ პირობებს შორის, რომლებიც უნდა შესრულდეს ატომური იარაღის წარმოების აკრძალვამდე და ამ იარაღის გამოცდის აკრძალვამდეც კი, წამოყენებულია გერმანიის პრობლემის მოწესრიგების მოთხოვნა, თავისთავად ღადდებს და კომენტარს არ საჭიროებს, სახელდობრ: ეს გათვალისწინებულია საფრანგეთ-ინგლისის წინადადებებით, რომლებიც ქვეკომიტეტში შეიტანეს ამა წლის 19 მარტს.

როგორც ვხედავთ, სინამდვილეში დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებანი არ უზრუნველყოფენ არც ჩვეულებრივი შეიარაღების საკითხის, არც ატომის საკითხის გადაჭრას, არც მთლიანად, არც ნაწილობრივ. საკითხავია, მაშ რით არის სასარგებლო ის, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებანი ეხებიან ატომის საკითხს? სრულიად არაფრით. უფრო მეტიც. ერთ კვანძად ნასკვავენ რა ყველა საკითხს, რომელიც განიარაღების პრობლემას ეხება, და აყენებენ სხვადასხვა წინასწარ პირობას, აღნიშნული წინადადებანი არ გვაძლევენ შესაძლებლობას თუნდაც ნაბიჯი გადავდგათ წინ განიარაღების საქმეში.

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ საჭიროა განიარაღების პრობლემის გადაჭრაში გამოვიყენოთ ახალი მიდგომა, რომელიც იმით გამოიხატება, რომ ჯერ შევთანხმდეთ ჩვეულებრივი შეიარაღების საკითხზე, რაც გააადვილებდა შეთანხმების მიღწევას ატომური იარაღის აკრძალვის საკითხზეც.

საჭიროა ზემონათქვამს დავუმატოთ, რომ საბჭოთა მთავრობა დათანხმდა, რომ ჩვეულებრივი შეიარაღების საკითხი და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხი განხილულიყო ერთდროულად, მაგრამ, რომ შეთანხმება ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ არ იყოს დამოკიდებული შეთანხმებაზე ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ.

მოკლედ ვიტყვი საბჭოთა წინადადებაზე ევროპაში შეიარაღების შეზღუდვისა და ინსპექციის ზონის შექმნის შესახებ.

ეს წინადადება არსებითად იმეორებს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ იდენის წინადადებას, რომელიც მან შეიტანა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირზე. ცნობილია, რომ ამ თათბირზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა გამოთქვა დადებითი დამოკიდებულება ამ წინადადებისადმი. ლოგიკური იქნებოდა, რომ განიარაღების ქვეკომიტეტში დადებითი დამოკიდებულება გამოეჩინათ აღნიშნული წინადადებისადმი. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ამას წინათ ინგლისის მიერ შეტანილი წინადადების წინააღმდეგ გაილაშქრა ინგლისის წარმომადგენელმაც, რაც, ჩვენ ვფიქრობთ, ძალიან უცნაურია. ამასთან, ძნელია იმის უარყოფა, რომ ამ საკითხზე შეთანხმება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა არა მარტო განიარაღების პრობლემის და გამალებული შეიარაღების შეწყვეტის პრობლემის გადაჭრის საქმეში, არამედ ევროპის უშიშროების განმტკიცების საქმეშიც.

ასეთია ჩვენი მოსაზრებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის განვლილი სესიის შედეგების გამო, თუ მხედველობაში გვექნება მხოლოდ ძირითადი საკითხები, რომლებიც განვიხილეთ დისკუსიის მსვლელობაში.

სამწუხაროა, რომ ქვეკომიტეტში არ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა იმ საკითხთა არსზე, რომლებიც განხილულ იქნა. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირი, როგორც წინათ, ყოველ ღონეს იხმარს, რათა ხელი შეუწყოს განიარაღების პრობლემის გადაჭრას, და იმედს გამოთქვამს, რომ სხვა დაინტერესებული სახელმწიფოებიც ეცდებიან ამას.

ზედმეტია ხაზგასმით აღინიშნოს, თუ რა სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ხალხებისათვის შეთანხმებას ამ პრობლემაზე. ასეთი შეთანხმება, თავდაპირველად თუნდაც შეზღუდული, რომელიც შეეხება მხოლოდ რამდენიმე საკითხს, დიდმნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების, სახელმწიფოთა ურთიერთობაში საჭირო ნდობის დამყარებისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ლაიპციგში გაიხსნა ვ. ი. ლენინის მუზეუმი

ბერლინი, 5 მაისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელნი მზრუნველობით იცავენ ადგილებს, რომლებიც დაკავშირებულია გერმანიაში ვ. ი. ლენინის ყოფნასთან.

დღეს ლაიპციგში, რუსიშე-შტრასეზე სახლში, სადაც 1900 წელს გამოვიდა გაზეთ „ისკრის“ პირველი ნომერი, ზეიმით გაიხსნა ვ. ი. ლენინის მუზეუმი. სახლთან გამართულ მიტინგს დაესწრო ქალაქის 10 ათასამდე მცხოვრები.

მიტინგს დაესწრნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ლაიპციგის ოკრუგის გამგეობის პირველი მდივანი ბ. ფრელიხი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე ა. აბუში, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი.

მიტინგი დამთავრდა „ინტერნაციონალის“ სიმღერით.

მიტინგის შემდეგ გაიმართა მუზეუმის, სტამბის და ექსპონატების დათვალიერება.

ქანადის სენატმა დაამტკიცა სსრ კავშირისა და ქანადის სავაჭრო შეთანხმება

ოტავა, 5 მაისი. (საკდესი). ქანადის სენატმა ერთხმად მოიწონა რეზოლუცია სსრ კავშირისა და ქანადის შორის იმ სავაჭრო შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს ოტავაში 1956 წლის 29 თებერვალს.

სენატში ყველა ორატორმა რწმენა გამოთქვა, რომ პირველი სავაჭრო შეთანხმება საბჭოთა კავშირთან გამოიწვევს ორივე ქვეყნის უფრო მჭიდრო ურთიერთობის განვითარებას და ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. კონსერვატორების ლიდერმა სენატში სენატორმა ჰეიგნი ეს შეთანხმება მოიწონა და განაცხადა, რომ გაჭრიმა საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან კონტაქტის დამყარების საუკეთესო საშუალებაა.

შეთანხმების რატიფიკაციას მიემხრნენ აგრეთვე ლიბერალი სენატორები.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საბჭოთა კავშირ-კანადის სავაჭრო შეთანხმება ერთხმად დამტკიცა კანადის თემთა პალატამ 1956 წლის 18 აპრილს.

საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის სავაჭრო ურთიერთობა

უკანასკნელ დროს მოსკოვში წარმოებდა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირსა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1956 წელს საქონლბრუნვის შესახებ.

მოლაპარაკება წარმოებდა მეგობრულ ვითარებაში და ამით დამთავრდა, რომ 1956 წლის 5 მაისს ხელი მოაწერეს ოქმს 1956 წელს საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ.

საქონელბრუნვა საბჭოთა კავშირსა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1956 წელს მნიშვნელოვნად გადიდდება 1955 წელთან შედარებით.

საბჭოთა-კავშირი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას მიაწვდის სხვადასხვა მოწყობილობას, ტრაქტორებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ავტომანქანებს, ნავთობის პროდუქტებს, კაბელის ნაწარმისა და სხვა საქონელს, რომლებიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას ესაჭიროება.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა თავის მხრივ საბჭოთა კავშირს მიაწვდის ძვირფასი ჯიშის მერქანს, ავეჯს, ჩაის, სანელებლებს, ციტრუსოვანთა ნაყოფს. შინამრეწველობის ნაწარმსა და სხვა საქონელს.

ოქმს საბჭოთა კავშირის მხრივ ხელი მოაწერა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ი. გ. კაბანოვმა, ხოლო ვიეტნამის მხრივ — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა სსრ კავშირში ტო კუანგ დუმმ.

სპორტის ამბები

სპორტული დღესასწაული



ახლოვდება საბჭოთა კავშირის სპორტის ისტორიაში ყველაზე მასობრივი და დიდი ასპარეზობა — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა. ამ გრანდიოზული შეჯიბრებისათვის ყველგან ენერგიული მზადება მიმდინარეობს. მომმე რესპუბლიკებში, მოსკოვსა და ლენინგრადში იმართება ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების რაიონული, საქალაქო სპარტაკიადები.

მომმე რესპუბლიკებთან ერთად სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის წარმატებით ემზადებიან საქართველოს სპორტსმენები.

ახლა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში მიმდინარეობს თბილისის სპარტაკიადა, 6 მაისს დაიწყო ზონალური სპარტაკიადები, 27 მაისს თბილისში საზეიმოდ გაიხსნება საქართველოს სპარტაკიადა.

თბილისის სპარტაკიადა სპორტულ ზეიმად გადაიქცა. ეს მასობრივი შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობენ პროფკავშირთა 2 გუნდი, არმიის, „დინამოს“, „სპარტაკის“, „შრომითი რეზერვების“ და თბილისის განათლების განყოფილების სპორტსმენთა უძლიერესი კოლექტივები, მაღალი სპორტული მაჩვენებლებით ხასიათდება.

სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის 11 სახეობაში შეჯვედრები უკვე დამთავრდა. გამოვლინდა ახალი ჩემპიონები, პიროველთანრიგოსნები, სპორტის ოსტატები, დამყარებულია საქალაქო და რესპუბლიკური რეკორდები.

კვირას თბილისის სხვადასხვა სასპორტო ბაზებზე გრძელდებოდა შეჯვედრები ველოსპორტში, ჩოგბურთში, სროლაში, ფეხბურთში, ტანვარჯიშში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, ცურვაში. დღემდე გამართულ შეჯვედრათა შედეგების მიხედვით წინ არის პროფკავშირთა პირველი გუნდი. მეორე და მესამე საპრიზო ადგილებისათვის იბრძვიან თბილისის განათლების განყოფილებისა და „დინამოს“ სპორტსმენთა კოლექტივები.

თბილისის საქალაქო სპარტაკიადას მიეძღვნა დიდი სპორტული დღესასწაული, რომელიც 6 მაისს გაიმართა „დინამოს“ სტადიონზე.

სპორტული დღესასწაული დაიწყო სპორტსმენთა პარადით. შემდეგ საფეხბურთო მოედანზე შემოდის 2.000-მდე სტუდენტი. სპორტსმენები ემზადებიან მასობრივი ტანვარჯიშული გამოსვლისათვის. ამ სანახაობის დაწყებამდე სტადიონის დასავლეთი ტრიბუნის წინ გამოდიან აკრობატები ნ. და გ. გარსევანიშვილები, რომლებმაც მოწონება დაიმსახურეს.

ამის შემდეგ სარბენი ბილიკებით მოედანს შემოუვლიან აკრობატები მოტოციკლებზე გაკეთებული პირამიდებით. იწყება აკრობატთა მასობრივი გამოსვლები, საჩვენებელი ვარჯიშები ღერძზე, თავისუფალი ვარჯიშები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ მოწინავე სპორტსმენები რ. შარაბიძე, ს. ჯღიანი, გ. შარაბიძე, ვ. გურსკი, ვ. ასათიანი, რ. კაკაბაძე და სხვ.

სპორტული დღესასწაული მთავრდება თბილისის 2.000-ზე მეტი მოსწავლის ლამაზი, მცენარეული ტანვარჯიშული გამოსვლით და ფეხბურთის მატჩით საქართველოს პირველობაზე.

თბილისის სპარტაკიადისადმი მიძღვნილი დიდი სპორტული დღესასწაული „დინამოს“ სტადიონზე ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტსმენთა მიღწევების, სილამაზისა და სიჯანსაღის მკაფიო დემონსტრაცია იყო.

ვ. გაბელია.

• • •

სურათებზე: ზემოთ — მედროშენი სტადიონზე; ქვემოთ — სპორტის ოსტატი რ. შარაბიძე ასრულებს ვარჯიშს ღერძზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

6 მაისს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში გაიმართა სსრ კავშირის XVIII ჩემპიონატის მორიგი მატჩები ფეხბურთში. მოსკოვში დედაქალაქის „სპარტაკისა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდების ასპარეზობა დამთავრდა ფრედ 1:1. ლენინგრადში მოსკოვის „დინამოს“ და ლენინგრადის „შრომითი რეზერვების“ ფეხბურთელთა კოლექტივების შეხვედრა ნოიგეს დინამოელებმა ანგარიშით 1:0. სტალინგრადში ადგილობრივი „შახტიორისა“ და კიევის „დინამოს“ გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1.

X X X

6 მაისს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა „ბ“ კლასის მეორე ზონის ფეხბურთელთა კოლექტივების შეხვედრა. თამაშობდნენ კრასნოდარის „ნეფტიანიკისა“ და თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდები. თბილელებმა ეს მატჩი ძლიერად ჩაატარეს და მოიგეს შეჯიბრება 4:0.

12 მაისს დილის 10 საათზე მოწვეულია გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტთა თათბირი.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიისა და საფრანგეთის საზოგადო მოღვაწეთა დელეგაცია მოსკოვში

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დელეგაცია, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით, განიხილავს დედაქალაქის ცხოვრების ბაღნობას. 2 მაისს იგი გაეგზავნა ტამანის მ. ი. კალინინის სახელობის გვარდიის წითელდროშოვანი სუვოროვის ორდენოსანი დივიზიის ერთ-ერთ პოლკში. პოლკის მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა ი. ა. ჩელიშევმა სტუმრებს უამბო ისტორია პოლკისა, რომელიც შეიქმნა მალე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, მონაწილეობას იღებდა როგორც სამოქალაქო, ისე დიდი სამამულო ომის ბევრ ბრძოლაში.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დელეგაციის წევრებმა მისცეს ბევრი კითხვა, რომლებიც ეხებოდა საბჭოთა არმიაში სამსახურს, სამხედრო წვრთნას და სხვ. სტუმრებმა ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი მიიღეს. თავის მხრივ პოდპოლკოვნიკმა ი. ა. ჩელიშევმა სტუმრებს სთხოვა ეამბნათ საფრანგეთის არმიის ჯარისკაცების, სერჟანტებისა და ოფიცრების სამსახურზე.

პოლკის სარდლობამ საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დელეგაციის წევრებისათვის გამართა სადილი, რომელზეც იყო პოლკის ბევრი ოფიცერი. სადილის დროს საფრანგეთის სოციალისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა პიერ კომენმა დელეგაციის წევრთა სახელით ჰადლობა გადაიხადა იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცათ ყოფილყვნენ ჯარის ნაწილში, და სადღეგრძელოში ასურვა, რომ დადგეს დრო, როცა გაქრებიან ყველა ქვეყნის არმიები.

სადილზე სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე დელეგაციის წევრმა ანდრე ფილიპმა. „ჩვენ დიდი იმედი გვაქვს,—თქვა მან, — რომ იმ პოლიტიკის მეოხებით, რომელიც ახლა ყველა ქვეყანაში ხორციელდება, შემცირდება შეიარაღებული ძალები. ჩვენ ვემხრობით ხალხთა შორის მშვიდობას, სოლიდარობას!“

2 მაისს დღის მეორე ნახევარში საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დელეგაციის წევრები ათვალიერებდნენ მოსკოვის საავტომობილო ქარხნისა და პირველი სახელმწიფო საკისარის ქარხნის მუშათა საცხოვრებელ ბინებს. სტუმრები ბინაზე ეწვივნენ საავტომობილო ქარხნის საწვრთნო საამქროს უფროსს მ. ნ. პოკროვსკის, პირველი სახელმწიფო საკისარის ქარხნის ადრის მუშას ი. ვ. შჩერბაკოვს, ახალი საწარმოს ოსტატს ძ. ი. სამოხინს და ხელოვნურ-მექანიკოსს გ. ტ. კიტროროვს. მასპინძლებმა გულითადად მიიღეს სტუმრები და მათთან ბაზგრძლივი თავისუფალი საუბარი ჰქონდათ.

ამავე დღის საღამოს დელეგაციის წევრები მ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო დარბაზში დაესწრნენ საბჭოთა არმიის სამეღერასი და კვავის წითელდროშოვანი ანსამბლის კონცერტი.

3 მაისს დილით დელეგაციამ ინახულა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი ლენინის გორაზე. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ი. გ. პეტროვსკიმ თავის კოლეგებთან — პროფესორებთან ერთად დელეგაციის წევრებს უამბო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის პროცესის ორგანიზაციაზე, იმ მეცნიერულ მუშაობაზე, რასაც ასპირანტები და მასწავლებლები ეწევიან. სტუმრებმა ბევრი კითხვა მისცეს. მათ ინტერესებდათ სტიპენდიებისა და სწავლის ფასის ოდენობა, უნივერსიტეტში შემსვლელთა ზოგადსაგანმანათლებლო მომზადება, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის ხელფასი და სხვ.

შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს მიწათმცოდნეობის მუზეუმი და გეოლოგიური ფაკულტეტის ლაბორატორიები, საბჭო დარბაზი, სტუდენტთა სასადილო, სასპორტო კლუბი და ასპირანტთა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი.

დღის მეორე ნახევარში დელეგაცია ორ ჯგუფად გაიყო და დაათვალიერა პირველი სახელმწიფო საკისარის ქარხანა და ბასკვატის ფაბრიკა „ბოლშევიკი“. საღამოს სტუმრებმა თოჯინების ცენტრალურ თეატრში ნახეს სპექტაკლი „ირაჩვეულებრივი კონცერტი“.

4 მაისს საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დელეგაციის წევრებმა ინახულეს საკავშირო პროფსაბჭო, სადაც გაიმართა საუბარი საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარესთან ვ. ვ. გრიშინთან. საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან ლ. ნ. სოლოვიოვთან, საკავშირო პროფსაბჭოს მდივნებთან. დელეგაციის წევრებს ინტერესებდათ საბჭოთა პროფკავშირების მოღვაწეობა. საუბრას მსვლელობაში აღნიშნავდნენ მისწრაფებას გაფართოვდეს კონტაქტები და მეგობრული ურთიერთობა საფრანგეთისა და სსრ კავშირის მშრომელთა შორის.

იმავე დღეს დელეგაციის წევრთა ჯგუფმა ინახულა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო. საღამოს ეცნობოთნან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოებაში სტუმრები შეხვდნენ საფრანგეთის მეცნიერებისა და კულტურის მეგობართა სექციის წევრებს.

* * *

მოსკოვში რამდენიმე დღეს იყო დელეგაცია საფრანგეთის საზოგადო მოღვაწეებისა, რომლებიც ემხრობიან მშვიდობასა და განიარაღებას; დელეგაციას მეთაურობს საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე ე. დ'ასტიე დე ლა ვიჟერი. სტუმრებმა გაეცნენ მოსკოვის ღირსშესანიშნაობებს, 1 მაისს დაესწრნენ პარადსა და მშრომელთა დემონსტრაციას წითელ მოედანზე, დაათვალიერეს კრემლი. ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი. 1 მაისს დელეგაცია იყო სადღესასწაულო დარბაზობაზე, რომელიც მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტმა მოაწყო უცხოელთა ქვეყნების საზოგადო მოღვაწეთა დელეგაციების პატივსაცემად. 3 მაისს სტუმრები იყვნენ საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე ბესარნი ქუჩებზე რაიონში, დაათვალიერეს მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი, ინახულეს ტროიცე-სერგის ლავრა ზაგორსკში. იმავე დღის საღამოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. ბ. ვოლკოვმა მიიღო დელეგატთა — საფრანგეთის პარლამენტის წევრთა ჯგუფი.

4 მაისს საფრანგეთის საზოგადო მოღვაწეთა დელეგაცია ლენინგრადში ჩავიდა. (საკდესი).

ინოსიკ ბროზ-ვიეტ საფრანგეთში გაემგზავრა

ბელგრადი, 6 მაისი. (საკდესი). იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ტიტო საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რენე კოტის მოწვევით გუშინ ბელგრადიდან პარიზში გაეგზავნა. მას ახლავან საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი კ. პოპოვიჩი, პრეზიდენტის გენერალური მდივანი იოვე ვილფანი, უმაღლესი მთავარსარდლის კაბინეტის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი მილოშ შუმონია და პრეზიდენტის ადიუტანტი გენერალ-მაიორი მილან ელეკი.

გგზავრების წინ პრეზიდენტმა ვა